კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის ბიზნესის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა სპეციალობები (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა)

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	Bachelor of Business Administration (BBA) Program Specializations (Finance, Marketing, Management, Accounting)

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	ბაკალავრიატი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	უმაღლესი

სწავლების ენა	საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე ინგლისური კომპონენტებით
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
ქართულად:	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში; ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მარკეტინგში; ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში; ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი საბუღალტრო აღრიცხვაში.

ინლისურად:	**Bachelor of Business Administration in Finance;** **Bachelor of Business Administration in Marketing;** **Bachelor of Business Administration in Management;** **Bachelor of Business Administration in Accounting.**
პროგრამის ხელმძღვანელი	კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი ბორის ლეჟავა

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. საგანმანათლებლო პროგრამა სტრუქტურულად იყოფა საშუალოდ 60 ECTS კრედიტიან ოთხ ეტაპად. თითო ეტაპი მოიცავს ორ სემესტრს - შემოდგომის და გაზაფხულის. სწავლების სტანდარტული ვადისათვის თითოეული ეტაპის ხანგრძლივობა შეადგენს ერთ აკადემიურ წელს (სტანდარტული ეტაპი). ბაკალავრიატის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის სტანდარტული ვადაა 4 წელი (სწავლების სტანდარტული პერიოდი), ხოლო დასაშვები ვადაა 6 წელი. დასაშვებ ვადაში არ შედის ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც სტუდენტს შეჩერებული ჰქონდა სტატუსი. სტუდენტს, რომელიც დასაშვებ ვადაში ვერ შეძლებს ბაკალავრიატში სწავლის დასრულებას შეუწყდება სტატუსი და სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახური მას გადასცემს ნიშნების ფურცელს.

პროგრამაში საგნების განაწილება ეფუძნება შინაარსობრივ თანამიმდევრობას და ლოგიკას, გამოყენებულია საგნებს შორის წინაპირობის დაცვის პრინციპი, რაც იძლევა დასახული კომპეტენციების სტუდენტისთვის მიღწევის საშუალებას. სასწავლო პროგრამაში საგნები დაყოფილია: საუნივერსიტეტო სავალდებულო, საუნივერსიტეტო არჩევით, ბიზნესის ადმინისტრირების სავალდებულო-საბაზისო და 4 არჩევითი სპეციალობის (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა) სავალდებულო საგნებად. პროგრამაში საუნივერსიტეტო სავალდებულო საგნების კრედიტების წილი შეადგენს 40 ECTS კრედიტს, საუნივერსიტეტო არჩევითის 20 ECTS (პროგრამას სტუდენტისთვის შეთავაზებული აქვს 35 ECTS მოცულობის საუნივერსიტეტო არჩევითი 7 განსხვავებული საგანი), ბიზნესის ადმინისტრირების სავალდებულო-საბაზისო საგნების 115 ECTS და 4 არჩევითი სპეციალობის სავალდებულო საგნების წილი შეადგენს 60 ECTS კრედიტს. პროგრამაში სავადებულო საგნად არის ჩასმული ასევე ბიზნეს გეგმის განვითარება 5 ECTS კრედიტი, სადაც სტუდენტებს ევალებათ ბიზნეს გეგმაზე მუშაობა, რომელიც ახალი ბიზნესის დაწყებისათვის ან არსებული ბიზნესის ახალი წამოწყებისათვის საჭირო ბიზნეს იდეის გარშემო შესასრულებელ სამუშაოებს გულისხმობს, რომელიც საბოლოო დოკუმენტის და პრეზენტაციის სახით უნდა წარედგინოს დაინტერეესებულ მხარეებს (კურსის ლექტორები, პოტენციური თუ რეალური ინვესტორები).

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გამოცდების ეროვნული ცენტრი. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში; პროგრამაზე სწავლის მსურველმა აუცილებლად ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენაში უნდა ჩააბაროს ინგლისური ენა.

პროგრამის მიზანი	პროგრამა შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტისა და კავკასიის ბიზნესის სკოლის მისიაში ასახულ ხედვებს და უზრუნველყოფს კვლევებზე ორიენტირებული სწავლების და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების მიმდევარი სპეციალისტების მომზადებას და ამ სფეროში საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილებას. პროგრამა შედგენილია საქართველოს კერძო და სახელმწიფო სექტორის მიერ დანახული ბაზარზე არსებული საჭიროებებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. პროგრამა ასევე ითვალისწინებს უცხოეთის წამყვანი უნივერსიტეტების ბიზნესის სკოლების გამოცდილებას და იზიარებს ბიზნესის ადმინისტრირებაში დადგენილ პროფესიულ სტანდარტებს. კავკასიის ბიზნესის სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზნებია სტუდენტს: • გააცნოს ბიზნესის ადმინისტრირების თეორიული და მეცნიერული საფუძველი და, სტუდენტის არჩევანის გაკეთების შესაბამისად, მისცეს ფართო ცოდნა ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების ერთ-ერთ სპეციალობაში (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი ან საბუღალტრო აღრიცხვა); • განუვითაროს მენეჯერისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები და მოამზადოს კომპანიებში შესაბამისი (ფინანსისტის, მარკეტოლოგის, ბუღალტერ-აუდიტორის და ა.შ.) ფუნქციების ეფექტური შესრულებისათვის; • ხელი შეუწყოს კურსდამთავრებულთა დასაქმებას; • ჩამოუყალიბოს გლობალური მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა, დემოკრატიულობა და ჰუმანური ფასეულობები; • განუვითაროს მოქალაქეობრივი ღირებულებები.

პროგრამის სწავლის შედეგი	საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება ქვემოთ ჩამოთვლილი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები: ფინანსების სპეციალობა ცოდნა და გაცნობიერება • ქართულ ან უცხო ენებზე ზოგადი და ბიზნეს სფეროსთვის დამახასიათებელი წერილობითი და ზეპირსიტყვიერი კომუნიკაციის პრინციპების გააზრება და გაცნობიერება; • მიკრო და მაკროეკონომიკის სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების გაცნობიერებას; • მონაცემების სტატისტიკური დამუშავებისათვის აუცილებელი თეორიებისა და პრინციპების გააზრება; • ბიზნესის მართვის სფეროსათვის აუცილებელი მათემატიკური თეორიების კრიტიკული გააზრება; • ფინანსური და მენეჯერული აღრიცხვის თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრება და სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება; • მარკეტინგის სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას და სფეროს კომპლექსური საკითხების გათვითცნობიერება ; • კორპორაციული ფინანსებთან დაკავშირებული სფეროების ფართო ცოდნა, მათი თეორიებისა და პრინციპების გააზრება და კომპლექსური საკითხების გათვითცნობიერება; • ლოკალური თუ საერთაშორისო მასშტაბით ბიზნესის მართვის თეორიებისა და პრინციპების გააზრება და კომპლექსური საკითხების გათვითცნობიერება; • კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციების სხვადასხვა ფუნქციონალური არეების ფუნქციონირებისა და მართვის თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრება და კომპლექსური საკითხების გაცნობიერება; • განათლებული პიროვნებისათვის სასურველი სამეცნიერო სფეროს ფართო ცოდნა • ფინანსების კონკრეტული ფუნქციური არეების თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრება და კომპლექსური საკითხების გაცნობიერება; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი • ადგილობრივი თუ საერთაშორისო ბიზნეს გარემოსთვის დამახასიათებელი წერილობითი და ზეპირსიტყვიერი კომუნიკაციის (საუბარი, წერა და კითხვა ქართულ ან უცხო ენებზე) წარმოების უნარი და ბიზნეს-მოლაპარაკების ეფექტურ წარმოების უნარი წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; • ბიზნეს პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათი პროექტების განსახორციელებლად ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების უნარი წინასწარ განსაზღვრული მითითების შესაბამისად; • ბიზნეს მონაცემების და/ან ბიზნეს-სიტუაციების ანალიზის მიზნით შესაბამისი მათემატიკური ან/და სტატისტიკური მეთოდების გამოყენებისა და შედეგების ინტერპრეტაციის უნარი წინასწარ განსაზღვრული მითითების შესაბამისად; • ფინანსური სტრატეგიისა და/ან ფასიანი აქტივებთან დაკავშირებული ქმედებების განსაზღვრის და შესრულებისათვის საჭირო ღონისძიებების შესრულებისა და პრაქტიკული ხასიათის

დასაქმების სფეროები	კავკასიის ბიზნესის სკოლის ბიზნესის სკოლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმების სფეროებია: როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორი და ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები. კერძო სექტორიდან, ისეთი ბიზნეს ინდუსტრიები როგორიცაა: ➢ საბანკო ინდუსტრია; ➢ სადაზღვეო ინდუსტრია; ➢ სხვა ფინანსური ინსტიტუტების ინდუსტრიები; ➢ სამშენებლო კომპანიები; ➢ ნავთობკომპანიები; ➢ აუდიტორული კომპანიები; ➢ სარეკლამო კომპანიები; ➢ ფარმაცევტული კომპანიები; ➢ ბითუმად და საცალოდ ვაჭრობის ინდუსტრია; ➢ მძიმე და მსუბუქი მრეწველობის ინდუსტრია; ➢ სხვადასხვა ტიპის მომსახურებების ინდუსტრია; საჯარო სექტორიდან: ➢ სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურები.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

განვლილი სასწავლო კურსის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ათვისება შეფასებული იქნება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული მეთოდების წილისგან შედგება. სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- ➢ ყოველკვირეულ შეფასებას;
- ➢ შუა სემესტრულ შეფასებას;
- ➢ საბოლოო გამოცდის შეფასებას.

სტუდენტის ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერითი (ტესტი, ღია კითხვები, ესსე, და ა.შ) გამოკითხვა, ჯგუფური/ინდივიდუალური დავალების მომზადება და მისი პრეზენტაცია. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახული არის კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში.

შეფასების სისტემაში ქულები გადანაწილდება შემდეგი სქემის მიხედვით:

(A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91%-100%
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81% – 90%.
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71% – 80 %.
(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61% – 70%.
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51% – 60%.

თუ სტუდენტმა ვერ დააგროვა დადებითი შეფასებისთვის საკმარისი ქულათა ჯამი, მაგრამ მის მიერ მოპოვებული ქულები შეადგენს ან აღემატება მაქსიმალური შეფასების 41%-ს, მას ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები შეფასების მიღება ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა:

- ➢ ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
- ➢ წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- ➢ წერითი მუშაობის მეთოდი;
- ➢ დემონსტრირების მეთოდი;
- ➢ დისკუსია/დებატების მეთოდი;
- ➢ შემთხვევის ანალიზის (case study) მეთოდი;
- ➢ ახსნა-განმარტების მეთოდი;
- ➢ გონებრივი იერიშის (brainstorming) მეთოდი;
- ➢ ანალიზის მეთოდი,
- ➢ სინთეზის მეთოდი და სხვ.

სწავლება და სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ანაცვლებენ. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახული არის შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

პროგრამის სასწავლო კურსები

სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის აღწერა	სავალდებულო/ არჩევითი	ECTS კრედიტი	სწავლების სემესტრი
მიკროეკონომიკის საფუძვლები	კურსი გააცნობს სტუდენტებს ეკონომიკური აზროვნების ძირეულ მეთოდებსა და პრინციპებს. გადმოცემულია ინდივიდუალური ეკონომიკური სუბიექტების (მომხმარებლების, ფირმების, მთავრობის) მიერ ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების გზები და საშუალებები რესურსების შეზღუდულობის პირობებში. აღწერილია სუბიექტებს შორის ურთიერთქმედების ფორმები (სხვადასხვა ტიპის – სრულყოფილად კონკურენტული, მონოპოლიური, ოლიგოპოლიური, მონოპოლისტურად კონკურენტული, შრომისა და წარმოების სხვა ფაქტორთა ბაზრები), კეთილდღეობის გაზომვის მეთოდები, მომხმარებელთა და ფირმების ყოფაქცევა ძირითადი ეკონომიკური მიზნის – სარგებლის მაქსიმიზაციის მისაღწევად.	სავალდებულო	5	I
მაკროეკონომიკის საფუძვლები	სასწავლო კურსში გადმოცემულია მაკროეკონომიკის ძირითადი ცნებები, მეთოდები და პრინციპები; ჩამოყალიბებულია ეკონომიკური სისტემის, როგორც მთლიანის, შესწავლის გზები, მეთოდები და შედეგები; აღწერილია ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების (მთლიანი შიდა პროდუქტი, ინფლაცია, უმუშევრობა, ეკონომიკური ზრდა და სხვა.) არსი და გაზომვის მეთოდები; ფინანსური სისტემის შემადგენელი ნაწილები და ფუნქციონირების პრინციპები; მთავრობის მიერ ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის გატარების მიზნები, საშუალებები და შედეგები; ღია ეკონომიკის ფუნქციონირებისა და საერთაშორისო ვაჭრობის ძირითადი პრინციპები.	სავალდებულო	5	I I
საქართველოს ისტორია	საქართველოს ისტორიის სასწავლო კურსი მოიცავს ჩვენი სამშობლოს ისტორიას უძველესი დროიდან დღევანდელ დღემდე. იგი წარმოადგენს ლექციების ადაპტირებულ კურსს, სადაც განხილულია როგორც ზოგადი საკითხები - ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი გარემო, მოსახლეობა, ისტორიულ- გეოგრაფიული მიმოხილვა, ქართველების ეთნოგენეზი და ქართული ენის ადგილი მსოფლიოს ხალხთა ენებს შორის, ასევე ძირითადი საკითხები - ქართველი ხალხის (ზოგჯერ, მისი მეზობელი, ან მის წარსულთან დაკავშირებული სხვა ხალხების) პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული წარსულის ძირითადი, უმთავრესი ფაქტები.	სავალდებულო	5	I/I I

აკადემიური წერისა და მეტყველების კულტურა	კურსი ორიენტირებულია აუმაღლოს სტუდენტებს ქართულად წერისა და მეტყველების კულტურის დონე და დაეხმაროს აკადემიური ნაშრომის უნარ-ჩვევების განვითარებაში, რათა მათ შეძლონ დამოუკიდებლად აწარმოონ აკადემიური კვლევა. პრაქტიკულ მეცადინეობებზე სტუდენტები შეასრულებენ სპეციალურ სავარჯიშოებს, რომლებიც ხელს უწყობს ზეპირი და წერითი მეტყველების დახვეწას. ისინი შეისწავლიან საქმიანი ქაღალდების (CV-ის, განცხადებების, სამოტივაციო წერილის...) შედგენას; გამოუმუშავდებათ აზრის მწყობრად, არგუმენტირებულად და გამართულად ჩამოყალიბების; ანალიზის; კრიტიკული აზროვნების; წერილობითი ნაშრომის მომზადებისა და სათანადოდ გაფორმების უნარი. სტუდენტები მოაწყობენ პრეზენტაციებსა და დისკუსიებს, რაც ხელს შეუწყობს მათ საჯარო გამოსვლის უნარ-ჩვევების გამომუშავებაში.	სავალდებულო	5	I/I I
პრეკალკულუსი	კურსი წარმოადგენს კალკულუსის, წრფივი ალგებრის, რიცხვითი ანალიზის და სხვა საუნივერსიტეტო მათემატიკური კურსების საფუძველს. იგი ეძღვნება არითმეტიკის ძირითადი კანონების, ცვლად სიდიდეთა შორის ფუნქციონალური დამოკიდებულების არსის, ელემენტარულ ფუნქციათა თვისებების, მათი შემცველი განტოლებების და უტოლობების ამოხსნადობასთან დაკავშირებულ ფუნდამენტური საკითხების სიღრ-მისეულ გააზრებას; განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა განხილული თა-ნაფარდობების გრაფიკულ ილუსტრაციას, დაწვრილებით განიხილება განტოლებების და უტოლობების ამოხსნის ხერხები და მეთოდები. აზროვნების მათემატიკური წესის ფორმირების მიზნით ფართოდ გამოიყენება მათემატიკური დებულებების დასაბუთების მეთოდები.	სავალდებულო თავისუფალი კრედიტი	5	I

კალკულუს 1	კურსი წარმოადგენს საბაკალავრო მათემატიკური განათლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს. სიმრავლის ცნების და სიმრავლეებზე მოქმედებების, სიმრავლეთა ურთიერთმიმართებების ფუნდამენტური საკითხების შესწავლის საფუძველზე სიღრმისეულად განიხილება რიცხვითი ფუნქციების ცნება და თვისებები: შემოსაზღვრულობა, მონოტონურობა, ლუწობა-კენტობა და შექცევადობა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რიცხვითი მიმდევრობების და ფუნქციების ზღვრების ცნებების და თვისებების შესწავლას, ზღვრების გამოთვლის მეთოდებსა და ხერხებს. მიღებული ცოდნის გამოყენებით ხდება ერთი ცვლადის ფუნქციების თვისებების გამოკვლევა და კლასიფიცირება უსასრულოდ დიდ და უსასრულოდ მცირე ფუნქციებად, უწყვეტ და წყვეტილ (პირველი და მეორე გვარის) ფუნქციებად. თეორიული ცოდნის პრაქტიკულად რეალიზების მიზნით დაწვრილებით განიხილება: წრფივი მათემატიკური მოდელები (დანახარჯების, შემოსავლების, მოგების, მოთხოვნის, მიწოდების და ამორტიზაციის), ფინანსური მათემატიკის ზოგიერთი საკითხი (მარტივი, რთული და უწყვეტი პროცენტი, დისკონტირება), აგრეთვე პოლინომიალური განტოლების მიახლოებითი ამოხსნის ერთი ალგორითმი.	სავალდებულო	5	I
კალკულუს 2	კურსი წარმოადგენს საბაკალავრო მათემატიკური განათლების შემადგენელ ნაწილს. ის ანვითარებს იმ მათემატიკურ ჩვევებს, რომელიც აუცილებელია რეალური პრაქტიკული ამოცანების შესაბამისი მათემატიკური მოდელების გამოყენებისა და ანალიზისათვის. კურსში შეისწავლება დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის ელემენტები და მათი გამოყენებები. გაწარმოების ოპერაციის განხილვას თან მოსდევს ფუნქციის მინიმუმისა და მაქსიმუმის მოძებნის ამოცანები; მოცემულია ლოკალური ექსტრემუმის ამოცანები ერთი და ორი ცვლადის ფუნქციებისათვის. განუსაზღვრელი ინტეგრალის ცნების შემოღების, მისი თვისებების და მოძებნის ძირითადი ხერხების შესწავლის შემდეგ განიხილება განსაზღვრული ინტეგრალი, მისი თვისებები და გამოთვლის მეთოდები (განსაზღვრული ინტეგრალის დათვლა ზღვრისა და რიმანის ჯამების საშუალებით. ნიუტონ-ლაიბნიცის ფორმულა) და განსაზღვრული ინტეგრალის გამოყენება ბრტყელი ფიგურის ფართობის გამოსათვლელად. ასევე შეისწავლება არასაკუთრივი ინტეგრალი შემოუსაზღვრელ ინტერვალზე და არასაკუთრივი ინტეგრალი შემოუსაზღვრელი ფუნქციიდან.	სავალდებულო	5	I I

საინფორმაციო ტექნოლოგიები 1	კურსი უზრუნველყოფს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საფუძვლების შესწავლას, რომელთა გამოყენება ხელს უწყობს საგანთა შორის კავშირების წარმოჩენას, სტუდენტთა შემოქმედებითობისა და ინოვაციური მიდგომების განვითარებას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია პრობლემებზე დაფუძნებული კონსტრუქციული გადაწყვეტილების მისაღებად; ორიენტირებულია პრაქტიკულ შედეგზე და მოიცავს შემდეგ თემებს: ➢ ინფორმაცია, ინფორმაციის საზომი ერთეულები ➢ კომპიუტერის არქიტექტურა, ➢ ოპერაციული სისტემა, Windows 7 ➢ ინტერნეტ-ტექნოლოგიები, ➢ საოფისე პროგრამები	სავალდებულო	2,5	I
საინფორმაციო ტექნოლოგიები 2	კურსი უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაზისო კონცეფციების შესწავლას, საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თანამედროვე საშუალებათა გამოყენების თვალსაზრისით. ორიენტირებულია პრაქტიკულ შედეგზე და მოიცავს ტექსტურ რედაქტორთან და ინტერნეტ-ტექ-ნოლოგიებთან მუშაობის საკითხებს. სასწავლო კურსში შეისწავლება: ➢ ტექსტური რედაქტორის მუშაობის ძირითადი პრინციპები, მისი ➢ საშულებით დოკუმენტის შექმნა, რედაქტირება, დაფორმატება, ცხრილების ➢ და სხვა გრაფიკული გამოსახულების ჩასმა, ➢ ინტერნეტ სერვისების ძირითადი პრინციპები, თანამედროვე ➢ ტექნოლოგიების გამოყენება ელექტრონული დოკუმენტის შექმნის ➢ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში.	სავალდებულო	2,5	I I
ინგლისური ენა – ზოგადი ნაწილი B1.0	მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკული კურსს, რომელიც ქმნის საფუძველს რიგი კომპეტენციების შესაძენად მომავალი პროფესიული აქტივობებისათვის. ხსენებული სალექციო კურსისა და მეორე სემესტრის სალექციო კურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებულს ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია იმისათვის რომ აიღოს B 1 დონის დამადასტურებელი სერთიფიკატი.	სავალდებულო	2,5	I

ინგლისური ენა – ზოგადი ნაწილი B1	მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკულ კურსს. ეს სემესტრი, ერთის მხრივ, ემსახურება უკვე არსებული პრაქტიკული თუ თეორიული უნარ-ჩვევების გამყარება-გაღრმავებას, მეორე მხრივ კი ქმნის საფუძველს რიგი კომპეტენციების შესაძენად, რომლებიც მომავალი პროფესიული აქტივობისთვის საჭირო სპეციფიურ ენობრივ მოთხოვნებზე იქნება ორიენტირებული. მოცემული სალექციო კურსი პირველი სემესტრის სალექციო კურსის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს; მისი და შესაბამისი პროფესიული ენის წარმატებით გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებულს ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია, იმისთვის რომ აიღოს B1 დონის დამადასტურებელი სერთიფიკატი.	სავალდებულო	2,5	I I
P1პროფესიული ინგლისური ენა	აღნიშნული კურსი სტუდენტს შეასწავლის ბიზნესის სფეროში განსახილველი საკითხებისა და მასთან დაკავშირებული ლექსიკის გამოყენებას სხვადასხვა თემატური მოდულების მიხედვით: ბრენდის არსი და რაობა, მათი სახეობები; მოგზაურობა; ცვლილებები ბიზნეს ორგანიზაციაში და შედეგად მიღებული ახალი გამოწვევები, რეზისტენტულობა ცვლილებების მიმართ; კომპანიათა გამსხვილება; საერთაშორისო ვაჭრობა – პროტექციონიზმი, თავისუფალი ვაჭრობა, კონკურენცია, მონოპოლია, გლობალური ბრენდები, წარმოების გატანა ქვეყნის ფარგლებს გარეთ (outsourcing), მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები; იაფი მუშახელი; წარმოების ეკონომიური მეთოდები; ინოვაციები, ინტელექტუალური საკუთრება; ხარისხის კონტროლი.	სავალდებულო	2,5	I
P2 პროფესიული ინგლისური ენა	წინამდებარე კურსი სტუდენტს აძლევს ფართო და ამასთან ზოგად ცოდნას ბიზნესის სფეროში საქმიანობის დაწყებისა და ბიზნესის მართვისათვის. აღნიშნული კურსის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის ბიზნესის სფეროში მოქმედ პრინციპებს, ზოგად თეორიებს, ბიზნესის კონცეფციებს, დარგის ახალ მიმართულებებს და მიდგომებს და ბიზნესის სტრატეგიებს; ამასთან ეცოდინება სათანადო ტერმინოლოგი და გაარჩევს ბიზნესის სფეროში მუშაობის პრაქტიკულ მოდელებსა და ასპექტებს.	სავალდებულო	2,5	I I

ფრანგული ენა A 1/0	კურსის მიზანია განუვითაროს სტუდენტს წერის, კითხვის, მოსმენის და საუბრის ჩვევები. ძირითადი ლექსიკური ერთეულების შესწავლა ხდება ყოფით და ინფორმაციული ხასიათის ტესტებზე დაყრდნობით, დიდი ყურადღება ეთმობა ლექსიკის ათვისებას და მის გამოყენებას დიალოგურ მეტყველებაში. განსაკუთრებით აქტუალურია ფრაზების შედგენა შესწავლილი გრამატიკული და ლექსიკური კონსტრუქციებით და მათი პრაქტიკული გამოყენება, ასევე საუბარი ელემენტარულ ყოფით თემებზე.	სავალდებულო	5	I
ფრანგული ენა A 1	კურსის მიზანია განუვითაროს სტუდენტს წერის, კითხვის, მოსმენის და საუბრის ჩვევები. ძირითადი ლექსიკური ერთეულების შესწავლა ხდება ყოფით და ინფორმაციული ხასიათის ტექსტებზე დაყრდნობით. დიდი ყურადღება ეთმობა ლექსიკის ათვისებას და მის გამოყენებას დიალოგურ მეტყველებაში. განსაკუთრებით აქტუალურია ფრაზების შედგენა შესწავლილი გრამატიკული და ლექსიკური კონსტრუქციებით და მათი პრაქტიკულად გამოყენება, ასევე საუბარი ელემენტარულ ყოფით თემებზე.	სავალდებულო	5	I I
გერმანული ენა A1/0	მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს გერმანულის, როგორც (მეორე) უცხო ენის, ექვსსემესტრიანი პრაქტიკული კურსის პირველ ეტაპს. სწორედ ამ ეტაპზე იქმნება ის საფუძველი, რომელიც ყოველი მომდევნო საფეხურის წარმატებულად გავლის წინაპირობად ითვლება. ზოგადი თვალსაზრისით, მოცემული კურსი ორიენტირებულია თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, სადაც ორი და მეტი უცხო ენის ფლობა სპეციალისტის კვალიფიციურობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ კრიტერიუმად განიხილება. სრული სალექციო კურსის, რომელიც ორ სემესტრს მოიცავს, წარმატებით გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებული ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია იმისთვის, რომ აიღოს A1 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო) დამადასტურებელი სერტიფიკატი.	სავალდებულო	5	I

გერმანული ენა A1	მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს გერმანულის, როგორც (მეორე) უცხო ენის, ექვსსემესტრიანი პრაქტიკული კურსის მეორე ეტაპს. კურსის ფარგლებში სტუდენტები გაიმყარებენ პირველი სემესტრის განმავლობაში შეძენილ უნარ- ჩვევებს და მიიღებენ იმ ენობრივ ცოდნას, რომელიც სრულად შეესაბამება A 1 დონეს (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო). ზოგადი თვალსაზრისით, მოცემული კურსი ორიენტირებულია თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, სადაც ორი და მეტი უცხო ენის ფლობა სპეციალისტის კვალიფიციურობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ კრიტერიუმად განიხილება. სრული სალექციო კურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებული ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია იმისთვის, რომ აიღოს A1 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი.	სავალდებულო	5	I I
თურქული ენა A1.0	მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს თურქული ენის პრაქტიკული ექვსსემესტრიანი კურსის პირველ ეტაპს, ენის შესწავლას ნულოვანი დონიდან, სწრაფად პროგრესირების და ენის ფლობის შემდგომ დონეზე გადასვლის შესაძლებლობას; თურქეთის, როგორც საქართველოს ახლო მეზობელი სახელმწიფოს დღევანდელობის გააზრების მიზნით თურქი ხალხის ისტორიის, კულტურისა და ტრადიციების გაცნობას; ენის უნარების გამოყენებით სტუდენტს მიეცემა საშუალება თურქეთის პოლიტიკის, ეკონომიკის, საზოგადოების კულტურის აქტიური საკითხების კვლევისათვის. ძირითადი სამუშაო თემებია: გაცნობა, ჰობი, სახლი, ოჯახი, ნათესავები, მეგობრები და ა.შ.	სავალდებულო	5	I
თურქული ენა A1.	სასწავლო კურსი გათვლილია იმ სტუდენტებისათვის ვინც უკვე ფლობს თურქული ენის შესავალ ნაწილს. კურსი ითვალისწინებს სწრაფად პროგრესირების და ენის ფლობის შემდგომ დონეზე გადასვლის შესაძლებლობას; თურქეთის, როგორც საქართველოს ახლო მეზობელი სახელმწიფოს დღევანდელობის გააზრების მიზნით თურქი ხალხის ისტორიის, კულტურისა და ტრადიციების გაცნობას; კურსის მსვლელობისას შესრულდება ლექსიკური სავარჯიშოები, ენის შემსწავლელები შეასრულებენ წერილობით სამუშაოებს, მოისმენენ თურქულ ენაზე მეტყველების მინუშებს. ძირითადი სამუშაო თემებია: თურქული/მსოფლიო სამზარეულო, უცხო ქვეყანაში შესაძლო პრობლემების მოგვარების სხვადასხვა გზა, მსოფლიო საოცრებები და სხვა.	სავალდებულო	5	I I

ესპანური ენა A1.0	სასწავლო კურსი წარმოადგენს ზოგადი ესპანურის კურსს. კურსი მიმართულია სტუდენტებზე, რომლებიც პირველად ეცნობიან ესპანურ ენას და მისი მიზანია მიაღწიონ საბაზისო დონეს, რომელიც მათ მისცემს საშუალებას თავისუფლად და ეფექტურად გამოიყენონ თავიანთი ცოდნა ყოველდღიურ ურთიერთობაში. სასწავლო კურსი დაფუძნებულია ახალ პედაგოგიურ მეთოდზე, რომელიც მიმართულია მოსწავლის საკომუნიკაციო უნარჩვევების განვითარებაზე. კურსის დამთავრებისას სტუდენტს შეეძლება თავისუფლად ურთიერთობა სამომხმარებლო დონეზე.	სავალდებულო	5	I
ფრანგული ენა A2.0	მოცემული სალექციო კურსი ორიენტირებულია ფრანგული ენის საერთო ევროპული ჩარჩოს მიხედვით A2 დონის შესწავლაზე. კურსის თემატიკა მრავალფეროვანია და მოიცავს თანამედროვე ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებს, რაც სტუდენტებს მისცემს ინტერკულტურულ გარემოში წარმატებული ორიენტაციისა და კომუნიკაციის საშუალებას. სტუდენტები ეხებიან ისეთ თემებს, როგორიცაა: პირადი და პროფესიული ცხოვრება, მოგზაურობა, კულტურა და მედია. კურსი გულისხმობს მარტივი ლიტერატურული, ოფიციალური ტექსტების, საგაზეთო სტატიების კითხვას; აზრის წერილობით გადმოცემის უნარის ჩამოყალიბებას. კურსით გათვალისწინებული სიტუაციური, ინტერაქტიური თამაშები და პრეზენტაციები კი ხელს უწყობს სტუდენტების არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარებას.	სავალდებულო	5	III
გერმანული ენა A 2.0	მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს გერმანულის, როგორც (მეორე) უცხო ენის, ექვსსემესტრიანი პრაქტიკული კურსის მესამე ეტაპს. კურსის ფარგლებში სტუდენტები გაიუმჯობესებენ უკვე შეძენილ ელემენტარულ ენობრივ უნარ -ჩვევებს და შეიძენენ დამატებით გრამატიკულ თუ ლექსიკურ ცოდნას, რომელიც მათ შედარებით კომპლექსურ კომუნიკაციურ სიტუაციაში შესაბამისი ენობრივი აქტივობის რეალიზების საშუალებას მისცემს. ზოგადი თვალსაზრისით, მოცემული კურსი ორიენტირებულია თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, სადაც ორი და მეტი უცხო ენის ფლობა სპეციალისტის კვალიფიციურობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ კრიტერიუმად განიხილება. სრული სალექციო კურსის, რომელიც ორ სემესტრს მოიცავს, წარმატებით დასრულების შემთხვევაში, სტუდენტს ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია იმისთვის, რომ აიღოს A 2 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო) დამადასტურებელი სერტიფიკატი.	სავალდებულო	5	III

თურქული ენა A2.0	აღნიშნული კურსი არის თურქული ენის პრაქტიკული კურსი წინა- საშუალო დონეზე. კურსის მსვლელობისას შესრულდება ლექსიკური სავარჯიშოები, ენის შემსწავლელები გაეცნობიან სხვადასხვა თემის მიხედვით შერჩეულ ტექსტებს, ისაუბრებენ ამ თემის შესახებ, შეასრულებენ წერილობით სამუშაობეს, მოისმენენ თურქულ ენაზე მეტყველების მინუშებს. ენის უნარების გამოყენებით სტუდენტს მიეცემა საშუალება თურქეთის პოლიტიკის, ეკონომიკის და საზოგადოების კულტურის აქტიური საკითხების კვლევის ჩატარების.	სავალდებულო	5	III
ფრანგული ენა A2	მოცემული სალექციო კურსი ორიენტირებულია ფრანგული ენის (საერთო ევროპული ჩარჩოს მიხედვით) A2 დონის შესწავლაზე. კურსის თემატიკა მრავალფეროვანია და მოიცავს თანამედროვე ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებს, რაც სტუდენტებს მისცემს ინტერკულტურულ გარემოში წარმატებული ორიენტაციისა და კომუნიკაციის საშუალებას. სტუდენტები ეხებიან ისეთ თემებს, როგორიცაა: პირადი და პროფესიული ცხოვრება, მოგზაურობა, კულტურა და მედია. კურსი გულისხმობს მარტივი ლიტერატურული, ოფიციალური ტექსტების, საგაზეთო სტატიების კითხვას; აზრის წერილობით გადმოცემის უნარის ჩამოყალიბებას. კურსით გათვალისწინებული სიტუაციური, ინტერაქტიური თამაშები და პრეზენტაციები კი ხელს უწყობს სტუდენტების არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარებას.	სავალდებულო	5	IV
გერმანული ენა A2	მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს გერმანულის, როგორც (მეორე) უცხო ენის, ექვსსემესტრიანი პრაქტიკული კურსის მეოთხე ეტაპს. კურსის ფარგლებში სტუდენტები განიმტკიცებენ ცოდნას, რომელსაც დაეუფლნენ წინა სამი სემესტრის განმავლობაში. გარდა ამისა, ისინი შეიძენენ იმ უნარ-ჩვევებს, რომლებიც საჭიროა გერმანული ენის A2 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო) გამოცდის ჩასაბარებლად და შესაბამისი სერთიფიკატის მოსაპოვებლად. ზოგადი თვალსაზრისით, მოცემული კურსი ორიენტირებულია თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, სადაც ორი და მეტი უცხო ენის ფლობა სპეციალისტის კვალიფიციურობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ კრიტერიუმად განიხილება.	სავალდებულო	5	IV

თურქული ენა A2	კურსის მსვლელობისას შესრულდება ლექსიკური სავარჯიშოები, ენის შემსწავლელები გაეცნობიან სხვადასხვა თემის მიხედვით შერჩეულ ტექსტებს, ისაუბრებენ ამ თემატიკის შესახებ, შეასრულებენ წერილობით სამუშაოებს, მოისმენენ თურქულ ენაზე მეტყველების მინუშებს. ენის უნარების გამოყენებით სტუდენტს მიეცემა საშუალება თურქეთის პოლიტიკის, ეკონომიკის, საზოგადოების კულტურის აქტიური საკითხების კვლევისათვის.ძირითადი სამუშაო თემებია: სამუშაო და კარიერა, სპორტი, ოცნება და რეალობა, მოდა და ა.შ.	სავალდებულო	5	IV
B2.0 ინგლისური ენა ზოგადი ნაწილი	მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკული კურსის მეშვიდე ეტაპს. იგი აქცენტირებულია, ერთის მხრივ, რეცეპტიული (კითხვა, მოსმენა) უნარ ჩვევის დახვეწაზე და, მეორე მხრივ, ლექსიკური მარაგის გაფართოებაზე, რაც კურსდამთავდებულს საშუალებას მისცემს გაიგოს და დამოუკიდებლად შეიმუშავოს კომპლექსური ტექსტები. კურსის ფარგლებში სტუდენტი ხვეწს სამეტყველო უნარ- ჩვევებს. მოცემული კურსი ქმნის წინაპირობას B2 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო) შესაბამისი სასერტიფიკატო გამოცდის ჩასაბარებლად აუცილებელი ენობრივი კომპეტენციის შესაძენად.	სავალდებულო	2.5	III
C1.0 ინგლისური ენა ზოგადი ნაწილი	მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკულ კურსს. ეს სემესტრი, ერთის მხრივ, ემსახურება უკვე არსებული პრაქტიკული თუ თეორიული უნარ-ჩვევების გამყარება-გაღრმავებას, მეორე მხრივ კი ქმნის საფუძველს რიგი კომპეტენციების შესაძენად, რომლებიც მომავალი პროფესიული აქტივობისთვის საჭირო სპეციფიურ ენობრივ მოთხოვნებზე იქნება ორიენტირებული. მოცემული სალექციო კურსის (მეორე სემესტრის სალექციო კურსსა და პროფესიულ ენასთან ერთობლიობაში), წარმატებული გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებულს ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია, იმისთვის რომ აიღოს C 1 დონის დამადასტურებელი სერთიფიკატი (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო).	სავალდებულო	2.5	III

B2 ინგლისური ენა ზოგადი ნაწილი	მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკული კურსს. კურსი ორიენტირებულია ყველა იმ ენობრივი უნარ-ჩვევის დახვეწა-გაღრმავებაზე, რომელიც კურსდამთავრებულს ინგლისურენოვან გარემოში / ინგლისური ენის მატარებლებთან სპონტანური და შეუფერხებელი კომუნიკაციის / დისკუსიის საშუალებას მისცემს. მოცემული კურსის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება ენობრივ-კომუნიკაციური კომპეტენცია, რათა გაიგოს და, გარკვეული მომზადების შემდეგ - ჩაერთოს მის დარგობრივ სფეროში მიმდინარე დისკუსიაში. მოცემული კურსის წარმატებულად გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებულს ექნება აუცილებელი ენობრივი ცოდნა B2 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო) სასერტიფიკატო გამოცდის ჩასაბარებლად.	სავალდებულო	2.5	IV
C1 ინგლისური ენა ზოგადი ნაწილი	მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკულ კურსს. კურსი ორიენტირებულია ყველა იმ ენობრივი უნარ-ჩვევის დახვეწა-გაღრმავებაზე, რომელიც კურსდამთავრებულს ინგლისურენოვან გარემოში / ინგლისური ენის მატარებლებთან სპონტანური და შეუფერხებელი კომუნიკაციის / დისკუსიის საშუალებას მისცემს. მოცემული კურსის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება ენობრივ-კომუნიკაციური კომპეტენცია, რათა გაიგოს და, გარკვეული მომზადების შემდეგ - ჩაერთოს მის დარგობრივ სფეროში მიმდინარე დისკუსიაში. მოცემული სალექციო კურსი პირველი სემესტრის სალექციო კურსის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს; მისი და შესაბამისი პროფესიულ ენის წარმატებით გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებულს ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია, იმისთვის რომ აიღოს C 1 დონის დამადასტურებელი სერთიფიკატი.	სავალდებულო	2.5	IV
მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია	თანამედროვე ეტაპზე, როცა სულ უფრო თვალსაჩინო ხდება მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გლობალური ურთიერთკავშირი, განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა მსოფლიო ისტორიის გააზრებამ და მასში ცალკეული ქვეყნების თუ ხალხების ადგილის განსაზღვრამ, ცივილიზაციური მოდელების შექმნამ, თუმცა უძველესი დროიდან საზოგადოების ინტელექტუალური მოთხოვნილება იყო საკუთარი განვითარების, ისტორიის წვდომა, გარდასულ ეპოქათა კულტურული შრეების შესწავლა. კაცობრიობის არსებობის მანძილზე ადამიანის მიერ შექმნილი სულიერი და ნივთიერი ღირებულებების ერთობლიობა წარმოადგენს კურსის შესწავლის საგანს.	არჩევითი	5	I/II/ III/ IV

პოლიტიკური მეცნიერების შესავალი	თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერება პოლიტიკური სისტემის უმნიშვნელოვანეს ფენომენს წარმოადგენს. მსოფლიო წესრიგში მომხდარი ცვლილებების შემდეგ, გაიზარდა პოლიტიკური მეცნიერების კვლევითი პრობლემები და მათი გააზრებათა მასშტაბები. შესაბამისად, სასწავლო კურსი ითვალისწინებს ინფორმაციის მიწოდებას თანამედროვე პოლიტიკისა და პოლიტოლოგიის პრობლემების შესახებ. კურსი მიმოიხილავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: პოლიტიკისა და პოლიტიკური ტექნოლოგიების რაობა, სისტემები და რეჟიმები, პოლიტიკური იდეოლოგიები, სახელმწიფო და სახელმწიფოს მართვის მექანიზმები, პოლიტიკური კულტურა, პოლიტიკური პარტიები, პოლიტიკური მონაწილეობა და არჩევნები. კურსი ასევე ითვალისწინებს ცოდნის მიცემას საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის წესრიგისა და გლობალიზაციის დინამიკის შესახებ.	არჩევითი	5	I/II/ III/ IV
მსოფლიოს პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია	კურსი განმარტავს მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის, როგორც მეცნიერული დისციპლინის, მნიშვნელობას, აქტუალობას, მიზანსა და ამოცანებს, მეთოდურ აპარატსა და შიდა სტრუქტურას, კავშირს სხვა მეცნიერულ დისციპლინებთან. მასში კონცენტრირებულადაა განხილული და დახასიათებული მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის უმნიშვნელოვანესი თემატური მიმართულებები: სოციალური გეოგრაფია, ეკონომიკური გეოგრაფია და პოლიტიკური გეოგრაფია.	არჩევითი	5	I/II/ III/ IV
ფსიქოლოგიის შესავალი	ეს არის შესავალი კურსი ფსიქოლოგიაში. ამ კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდებს, ბიოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ პიროვნების ქცევაზე, პიროვნების ფსიქიკურ პროცესებზე და თვისებებზე; ასევე განვიხილავთ პიროვნების თეორიებს და სოციალური ფსიქოლოგიის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა სოციალური გავლენა, ჯგუფში მიმდინარე პროცესები, ჯგუფში გადაწყვეტილების მიღება, ლიდერობა, ჯგუფის გავლენა საქმიანობის ეფექტურობაზე, სოციალური სიზარმაცე, პიროვნებათშორისი ურთიერთობებით გამოწვეული გავლენა: კონფორმულობა, დამთმობლობა, მორჩილება; აგრესიულობა, პროსოციალური ქცევა.	არჩევითი	5	I/II/ III/ IV

სოციოლოგია	I. მეცნიერება საზოგადოების შესახებ სოციოლოგიური პერსპექტივა. სოციოლოგიური კვლევის მეთოდები. II. ინდივიდი და საზოგადოება სოციალური ურთიერთქმედების სტრუქტურა. კულტურა. სოციალიზაცია და იდენტობა სიცოცხლის განმავლობაში. დევიაცია და დანაშაული. III. განსხვავება და უთანასწორობა კლასი და სტრატიფიკაცია. რასა და ეთნოსი. სქესი და გენდერი. თაობები და მოსახლეობის დაბერება. IV. სოციალური ინსტიტუტები ოჯახი. განათლება. რელიგია. ჯანმრთელობა და ჯანდაცვა. V. სოციალური ცვლილებები და გლობალიზაცია სამუშაო, ორგანიზაციები და ეკონომიკა. სახელმწიფო და პოლიტიკა. გლობალური ინტეგრაცია და გლობალური უთანასწორობა. მოსახლეობა და გარემო. თემი და ურბანიზაცია. სოციალური ძვრები და კოლექტიური ქმედებები.	არჩევითი	5	I/II/ III/ IV
ფილოსოფიის შესავალი	კურსის განმავლობაში ყურადღება დაეთმობა ტექსტების სიღრმისეულ ანალიზს; მიმდინარე მსოფლმხედველობითი პარადიგმის ცვლილების პროცესს; უახლეს მოძღვრებებს ზოგადადამიანური პრობლემებისა და სიცოცხლის საზრისის ძიების კონტექსტში; პოლიტიკის, ეკონომიკის, მეცნიერების, რელიგიისა და ესტეთიკის ტრანდისციპლინარულ ურთიერთმიმართებებს ამჟამინდელ პოსტმოდერნისტულ ეპოქაში; ადამიანის თავისუფალი არჩევანის, ნების მნიშვნელობის უპირატესობის გააზრებას.	არჩევითი	5	I/II/ III/ IV
P3 პროფესიული ინგლისური ენა	კურსში შეტანილია მასალა, რომელიც განიხილავს თანამედროვე ბიზნესისა და სამართლებრივი გარემოს სხვადასხვა ასპექტებს. განსახილველი საკითხები და მათთან დაკავშირებული ლექსიკა: კომპანიის დაფუძნება და მისი მართვა; დირექტორთა საბჭო – ფუნქცია-მოვალეობები, აქციები და აქციონერები; კომპანიის საწესდებო კაპიტალი; კომპანიაში განხორციელებული ფუნდამენტალური ცვლილებები; პიროვნებათაშორი კომუნიკაციის პრობლემები; საერთაშორისო მარკეტინგი; კულტურათაშორისი განსხვავება; წარმატებული მეწარმეები – მათი თვისებები; სამუშაოთი კმაყოფილება – The Motivation-Hygiene Theory –ფრედერიკ ჰერცბერგის მოტივაციის თეორია, მოტივაციის და ჰიგიენის ფაქტორები; მაკგრეგორის თეორია X და თეორია Y, უილიამ აუჩის თეორია Z; ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები; რისკი; მენეჯმენტის განსხვავებული სტილი; კონტრაქტები – კონტრაქტის არსი და რაობა, კონტრაქტის მხარეები; მისი გაფორმება და ანულირება; მხარეთა წარმომადგენლები; ტრასტი როგორც ქონების განკარგვის ერთ-ერთი საშუალება.	სავალდებულო	2.5	I/II/ III/ IV

P4 პროფესიული ინგლისური ენა	წინამდებარე კურსისა და ინგლისური ენის ზოგადი ნაწილის სათანადო დონის წარმატებით გავლის შემდეგ სტუდენტი სრულყოფილად დაეუფლება ენის მოცემულ დონეს. თემატიკა: გუნდური მუშაობა და ინდივიდი – გუნდური მუშაობის სირთულეები; დადებითი და უარყოფითი მხარეები; ფინანსები – თანხების მოძიების გზები და საშუალებები (კრედიტი, სარისკო კაპიტალი, ფაქტორინგი, ოვერდრაფტი, განვადება და ლიზინგი); მაღალი რისკის შემცველი კომპანიები და სტარტ-აპები; საპროცენტო განაკვეთი; მომსახურება – თანამედროვე მომხმარებელი და სერვის სექტორის მართვასთან დაკავშირებული პრობლემები; რისკის მართვა; კომანიათა გამსხვილება – გზები და საშუალებები (საკონტროლო პაკეტი); ფულის გათეთრება; შრომითი ურთიერთობები; კანონი კონკურენციის შესახებ;	სავალდებულო	2.5	IV
საინფორმაციო ტექნოლოგიები 3	კურსი უზრუნველყოფს პროგრამული პროდუქტი MICROSOFT EXCEL-ის შესწავლას, ორიენტირებულია პრაქტიკულ შედეგზე და მოიცავს შემდეგ თემებს: • პროგრამის ინტერფეისის ელემენტები; • მონაცემთა შეტანა და ფორმატირება; • სამისამართო სისტემა; • ფორმულები და ფუნქციები; • მონაცემთა ანალიზი; • დიაგრამები, ცხრილები, დინამიური ცხრილები; • მონაცემთა კონტროლი; • მაკროსი, სამუშაო წიგნისა და გვერდის დაცვა.	სავალდებულო	3.5	III
საინფორმაციო ტექნოლოგიები 4	კურსი უზრუნველყოფს კომპიუტერული პროგრამული პროდუქტების - MS ACCESS, MS PROJECT და SPSS –ის საფუძვლების შესწავლას. კურსი დაეხმარება სტუდენტს მიიღოს აღნიშნულ პროგრამულ პროდუქტებთან მუშაობის გამოცდილება. შედეგად სტუდენტი შესძლებს მათ გამოყენებას პრაქტიკულ საქმიანობაში, სხვადასხვა ტიპის ბიზნეს ამოცანების გადაჭრისას. კურსი ორიენტირებულია პრაქტიკულ შედეგზე და მოიცავს შემდეგ თემებს: • მონაცემთა ბაზების აგება და მართვა MS ACCESS -ის მეშვეობით, • პროექტების დაგეგმვა და მართვა MS PROJECT-ის მეშვეობით, • სხვადასხვა ტიპის ბიზნეს კვლევის შედეგების ანალიზი SPSS-ის გამოყენებით.	სავალდებულო	3.5	IV

ფინანსური აღრიცხვა	ფინანსური აღრიცხვა წარმოადგენს ბიზნესის სასაუბრო ენას. ყველა ტიპის ორგანიზაცია, კერძო თუ სახელმწიფო, ფუნქციონირებს სწორედ ამ ენით, რომელიც საზოგადოდ მიღებულ პრინციპებს ეყრდნობა. საგანი განიხილავს ფინანსურ აღრიცხვას როგორც ბიზნეს საქმიანობის ანგარიშგების გზას. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ბუღალტერიის წესების შესწავლა. ფინანსური აღრიცხვის პრინციპები ისწავლება ფინანსური უწყისების შექმნის და ანალიზის ბაზაზე. კურსის ძირითადი აქცენტი გადატანილია ფინანსური უწყისების შექმნის ცოდნაზე, რაც წარმოადგენს საბაზისო პროგრამას შემდგომში უწყისების კითხვის და ანალიზის შესასწავლად მომდევნო საფეხურის კურსის ფარგლებში. აღნიშნული საგნის გავლის შემდეგ, სტუდენტს შეეძლება ოთხივე ფინანსური უწყისის აგება და ბუღალტერიაში არსებული აღრიცხვის სხვადასხვა მეთოდების გამოყრნება.	სავალდებულო	5	III
მენეჯერული აღრიცხვა	კურსი სწავლობს იმ პროცესებსა და ინსტრუმენტებს, რომელიც არსებობს მენეჯერებისთვის ეფექტური მენეჯერული გადაწყვეტილებების მისაღებად. ის სწავლობს როგორ მიიღება სტრატეგიული და საოპერაციო გადაწყვეტილებები კომპანიის შიგნით და მოიცავს ორგანიზაციის ყველა დონეს.	სავალდებულო	5	IV სემესტრი
ბიზნესის რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები	აღნიშნული კურსი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ბიზნესის მარეგულირებელი ნორმების შესწავლას. ამ თვალსაზრისით კურსის სწავლებისას განხილული იქნება სამართლისა და ეკონომიკის აქტუალური და პრობლემატური საკითხები. აღნიშნული კურსი ითვალისწინებს შემდეგი საკითხების შესწავლას: კორპორაციული(სამეწარმეო) სამართალი - მისი ძირითადი ასპექტები, სახელშეკრულებო სამართალი - ზოგადი დებულებანი და პრაქტიკაში გამოყენებადი ხელშეკრულებები (ნასყიდობა, ქირავნობა, იჯარა, ლიზინგი და სხვა), მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებანი (გირავნობა, იპოთეკა, თავდებობა და სხვა), საქართველოს საგადასახადო სისტემის ზოგადი დახასიათება, შრომითი და სავაჭრო ურთიერთობათა ძირითადი დებულებანი, გაკოტრებისა და არბიტრაჟის მნიშვნელოვანი საკითხები. კურსის სწავლებისას განვიხილავთ, როგორც ქართულ კანონმდებლობას, ასევე თემატიკასთან კავშირში მყოფ ევროპის კავშირის სამართლითა და საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ რიგ საკითხებს.	სავალდებულო	5	III

მარკეტინგის საფუძვლები	კურსი წარმოაჩენს მარკეტინგს, როგორც მენეჯმენტის პროცესს. მისი წარმატებით გავლის შემდეგ სტუდენტი შეძლებს უკეთესი ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღებას, იმის გათვალისწინებით რომ ეცოდინება, თუ როგორ უნდა შეაფასოს გარემო, როგორ დაგეგმოს და წარმართოს მარკეტინგული ფუნქციები და განსაზღვროს, თუ რა ელემენტებია უფრო მნიშვნელოვანი მომხმარებლისათვის, როცა იღებს გადაწყვეტილებას რაიმე საქონლის შეძენასთან დაკავშირებით. საგანი იხილავს ისეთე საკითხებს, როგორებიცაა მარკეტინგული ინფორმაციის მართვა, პროდუქტისა და მომსახურების კონცეფციების ჩამოყალიბება, მათი შემდგომი მართვა; ასევე გადაწყვეტილებები ფასთან, დისტრიბუციასთან და მარკეტინგულ კომუნიკაციასთან დაკავშირებით.	სავალდებულო	5	IV
წრფივი ალგებრა	კურსი საუნივერსიტეტო მათემატიკური განათლების შემადგენელი ნაწი- ლია. ის შეიცავს შემდეგ თემებს: ვექტორები, წრფივად დამოუკიდებლობა და დამოკიდებულება, ბაზისი, აბსტრაქტული ვექტორული სივრცეები, წრფივი ქვესივრცეები; ოპერაციები მატრიცებზე; დეტერმინანტები; წრფივ ალგებრულ განტოლებათა სისტემები; ლეონტიევის მოთხოვნა-მიწოდების მოდელი; წრფივი დაპროგრამების ამოცანები და მათი ამოხსნის გეომეტ- რიული მეთოდი. ეს კურსი დაეხმარება სტუდენტს უკეთ გააცნობიეროს როგორ გამოი- ყენოს ბაზისური მათემატიკური პრინციპები და მეთოდები სხვადასხვა ტი- პის პრაქტიკული ამოცანის ამოხსნისას.	სავალდებულო	5	III
ფრანგული ენა B1.0	კურსი გამიზნულია იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც უკვე ფლობენ ფრანგული ენის შესავალ ნაწილს (საერთო ევროპული ჩარჩოს მიხედვით A2 დონეს). კურსის მიზანია სტუდნტმა ეტაპობრივად შეძლოს ენის დამოუკიდებლად გამოყენება, გაუმკლავდეს შესამჩნევად გაზრდილ ლექსიკურ მასალას. კურსი აღრმავებს უკვე არსებულ გრამატიკულ ცოდნას. ძირითადი სამუშაო თემებია: სასწავლო დაწესებულებები, საშუალო და უმაღლესი განათლება, სამსახური და დასაქმება, უმუშევრობა, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, თავისუფალი დრო, მოგზაურობა, ემიგრაცია და მიგრაცია. ასევე, აქცენტი გამახვილებულია ფრანგულენოვანი ქვეყნების შესახებ ინფორმაციებზე, ცხოვრების წესზე, ქალაქებზე, მათ კულტურულ მემკვიდრეობასა და სტუდენტების ყოველდღიურ ცხოვრებაზე.	სავალდებულო	5	V

გერმანული ენა B1.0	კურსის მიზანია, ერთი მხრივ, უკვე შეძენილი პრაქტიკული თუ თეორიული ცოდნის გამყარება-გაღრმავება, მეორე მხრივ კი, იმ უნარების შეძენა, რომლებიც დაეხმარება სტუდენტს აუთენტურ ენობრივ-კულტურულ გარემოში ორიენტაციაში. გარდა ამისა, კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან ე.წ. „ეკონომიკური გერმანულის/საქმიანი მიმოწერის“ ძირითად ასპექტებს. ასევე, მოხდება დარგობრივი ლექსიკის, სტილური და კომუნიკაციური ელემენტების ათვისება. შემოთავაზებული კურსი აქცენტირებულია ზოგადი ენობრივი (კომუნიკაციური, ლექსიკური, გრამატიკული) უნარების შეძენა-გაფართოება-სისტემატიზაციზე და ქმნის წინაპირობას B1 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო) შესაბამისი ენობრივი კომპეტენციების ჩამოსაყალიბებლად	სავალდებულო	5	V
თურქული ენა B1.0	კურსი ემსახურება უკვე შეძენილი პრაქტიკული თუ თეორიული უნარ-ჩვევების გამყარება-გაღრმავებას და ასევე, ქმნის საფუძველს რიგი კომპეტენციების შესაძენად, რომლებიც კურსდამთავრებულს აუთენტურ ენობრივ-კულტურულ გარემოში ორიენტაციის საშუალებას მისცემს: კურსდამთავრებულს ესმის მოსმენილის/წაკითხულის ძირითადი არსი, მაშინაც კი, როდესაც ცალკეული ენობრივი ერთეულები მისთვის უცხოა; შეუძლია ძირითადი ყოველდღიური თემების გარშემო მარტივი/საშუალო სირთულის წინადადებების გამოყენების საფუძველზე კომუნიცირება; აქვს საკმარისი ენობრივი ცოდნა რიგი საკითხების გარშემო (სამუშაო და კარიერა, განათლების სისტემა, თანამედროვე და კლასიკური ხელოვნება, სპორტი, მოდა და ა.შ.) საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად და დასასაბუთებლად, ეცნობა დამატებით გრამატიკულ ფენომენებს.ზემო აღნიშნული კი ხელს შეუწყობს შემდგომში კურსდამთავრებულის უკეთ ინტეგრაციას საზოგადოებაში და მის წარმატებულ დასაქმებას	სავალდებულო	5	V

ფრანგული ენა B1	კურსი ითვალისწინებს აქამდე შესწავლილი მასალის კონსოლიდაციას. პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე სტუდენტებს უკვე შეუძლიათ აღწერონ და გვესაუბრონ ამა თუ იმ მოვლენაზე. ყოველი ლექცია გულისხმობს მოსმენისა და კითხვის უნარჩვევებზე მუშაობას, თანამედროვე პრობლემატიკაზე დაყრდნობით ლექსიკური მარაგის გამდიდრებას. გამოიყენება შემეცნებითი ხასიათის ტექსტები ინტერნეტიდან. ყურადღება მახვილდება ანალიტიკურ კითხვასა და ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის კატეგორიებად დაყოფაზე, მთვარი აზრის გამოყოფაზე, პერიფრაზირებისა და ნაგულისხმევი და მკაფიოდ გამოხატული ინფორმაციის შედარებაზე. აქცენტი კეთდება აზრის წერილობით გადმოცემის უნარის განვითრებაზე.	სავალდებულო	5	VI
გერმანული ენა B1	კურსის ფარგლებში სტუდენტები აქტიურად ეცნობიან თანამედროვე გერმანულენოვანი მასმედიის ენას და აქცენტირებულად მუშაობენ სამეტყველო უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაზე. გარდა ამისა, გრძელდება მუშაობა სხვადასხვა კომუნიკაციური სიტუაციებისთვის აუცილებელ ლექსიკურ მასალაზე. სტუდენტები ასევე ეცნობიან ნახევრადოფიციალური და ოფიციალური წერილების შედგენის ძირითად თავისებურებებს.	სავალდებულო	5	VI
თურქული ენა B1	კურსი ორიენტირებულია ზოგადი ენობრივი ცოდნის გამყარებასა და რიგი დამატებითი კომპეტენციების გამომუშავებაზე, რის საფუძველზეც კურსდამთავრებული უფრო პროდუქტიულად შეძლებს, ერთის მხრივ, თურქულენოვან მასალებზე (ტექსტობრივი, აუდიო, ვიდეო) მუშაობას და, მეორე მხრივ, თურქული ენის მატარებლებთან ზოგადი თემების გარშემო კომუნიცირებას. სალექციო კურსის ფარგლებში სტუდენტი ეუფლება ფუნდამენტური გრამატიკული ფორმების თუ სტრუქტურების ყოველდღიურ სიტუაციებში გამოყენების თავისებურებებს, აფართოებს ლექსიკურ აპარატს და ხვეწს კომუნიკაციურ უნარ-ჩვევებს.	სავალდებულო	5	VI

ბიზნეს კომუნიკაცია	კურსის მიზანია მოამზადოს წარმატებული ლიდერები, მენეჯერები, მეწარმეები და დაეხმაროს მათ საქართველოში თუ მის გარეთ ეფექტურად მართონ ურთიერთობები და ბიზნესი. იგი ემყარება ფსიქოლოგიის, ურთიერთობების მართვის, სოციოლოგიისა და ბიზენსის წარმოების პრინციპებს და სხვადასხვა ინტერაქტიული სავარჯიშოებისა და თამაშების მეშვეობით ეხმარება სტუდენტებს უკეთ გაუგონ ადამიანებს და მიაღწიონ შესაბამის წარმატებას. აღნიშნული კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი შეძლებს საქმიან გარემოში წერილობით თუ ზეპირად ეფექტური კომუნიკაციის დამყარებას, რაც მოიცავს ისეთი უნარების გამომუშავებას, როგორიცაა, პრეზენტაციების წარმოება, შეხვედრების, მოლაპარაკებების, დისკუსიების გამართვა, სხვადასხვა სახის წერილებისა და ანგარიშების მომზადება, სამსახურებრივი გასაუბრებისათვის მზადება და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება.	სავალდებულო	5	V
საერთაშორისო ბიზნესი	სასწავლო კურსი სტუდენტებს გააცნობს ბიზნეს-გარემოს მრავალფეროვნებასა და ცვალებადობას. მოიცავს საერთაშორისო მენეჯმენტის, საერთაშორისო ვაჭრობის, საერთაშორისო მარკეტინგის, საერთაშორისო ფინანსებისა და სხვა საკითხებს. სასწავლო კურსი სტუდენტებს გააცნობს საერთაშორიოს ვაჭრობისა და ინვესტიციების ძირითადი კონცეფციებს, საერთაშორისო ბიზნესის მონაწილეებს, ბაზრის გლობალიზაციის მასშტაბებსა და შედეგებს, ბიზნესის განვითარების თანამედროვე თეორიებს, პოლიტიკური, სამართლებრივი თუ კულტურული სისტემების გავლენას საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაზე.	სავალდებულო	5	V
ორგანიზაციული ქცევა	საგანი სწავლობს ადამიანური ქცევის კომპლექსურობას ორგანიზაციულ გარემოში და მენეჯერებისა და ლიდერების როლს ამ გარემოზე ზეგავლენის კუთხით. საგანი შეისწავლის ორგანიზაციული ქცევისა და შედეგიანობის მართვის ისეთ ფართო კონცეფციებს როგორიცაა: სამსახურეობრივი კმაყოფილება, ორგანიზაციული კუთვნილება, სტრესი, მოტივაცია, ორგანიზაციული სტრუქტურა და კულტურა. ყოველი მოცემული თემის კუთხით განხილული იქნება სპეციფიური თეორიები და მოდელები, რომლებიც განსაზღვრავენ ქცევას ორგანიზაციაში. ასევე განხილული იქნება ქცევათა მრავალფეროვნება ორგანიზაციებში.	სავალდებულო	5	V

სტატისტიკის შესავალი კურსი	კურსი მოიცავს საფუძვლიან ინფორმაციის იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეგროვდეს სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემები, როგორ უნდა მოხდეს მათი პირველადი დამუშავება და ინტერპრეტაცია. აგრეთვე, როგორ უნდა მოხდეს ამ მონაცემების გააზრება, ანალიზი და ამ ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.კურსის შინაარსი მოიცავს კლასიკურ სტატისტიკურ მეთოდებს სტატისტიკის ძირითადი ცნებები, მონაცემთა შეგროვება, მონაცემთა წარმოდგენა ცხრილების და გრაფიკების სახით, ხდომილობები და ალბათობის თეორიის საფუძვლები, ალბათური განაწილებები, დისკრეტული და უწყვეტი შემთხვევითი სიდიდეები, ამორჩევები და ამორჩევათა განაწილებები, ამორჩევის საშუალოსა და პროპორციის განაწილებები, პარამეტრების შეფასებები, დასაშვები და სანდოობის ინტერვალების აგება, ჰიპოთეზების შემუშავება და შემოწმება. სწავლის შედეგი.	სავალდებულო	5	V
კორპორაციული ფინანსები	კორპორაციული ფინანსების მთავარი ამოცანაა სტუდენტი გაათვითცნობიეროს ფინანსური ბაზრების, მათი მონაწილეების და ბიზნეს ერთეულების მართვის ტექნოლოგიებში ფინანსური კუთხით. უფრო კონკრეტულად ეს საგანი ფარავს: ფინასური უწყისების ანალიზს, ფულის მოძრაობის ანალიზს, რისკსა და ამონაგებს შორის ურთიერთკავშირს, ფულის დროით ღირებულებას, ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების შეფასებას, კაპიტალის ღირებულების გამოთვლასა და მის ბიუჯეტირებას. დღევანდელი ფინანსური ბაზრების კომპლექსურობიდან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია ამ საგნის საფუძვლიანი მიწოდება სტუდენტზე, რათა მას სრულყოფილი საბაზისო ცოდნა შეექმნას მომდევნო საფეხურის კურსების დასაძლევად ფინანსების მიმართულებით.	სავალდებულო	5	V
მონაცემთა ანალიზი და ბიზნესის მოდელირება	კურსი დაეხმარება სტუდენტს მიიღოს გამოცდილება და ცოდნა, შეასრულოს მონაცემთა ანალიზი და მიღებული შედეგი აქციოს ოპტიმალურ გადაწყვეტილებად თუ შემაფასებელ წინადადებად. კურსი ორიენტირებულია პრაქტიკულ შედეგზე და მოიცავს ისეთ თემებს, როგორებიცაა: ოპტიმალური არჩევანის შესრულება შეზღუდული რესურსების პირობებში;გრაფიკების, ჰისტოგრამებისა და სხვა ფუნქციონალური ფორმების შექმნა; მოთხოვნა-მიწოდებისა თუ სხვადასხვა ტიპის დანახარჯების მინიმიზაციისა ან მოგების მაქსიმიზაციისათვის ოპტიმიზაციის ამოცანების დასმა-გადაწყვეტა; ოპტიმალური არჩევანის შესრულება ფინანსური პორტფოლიოს და სხვა. სტუდენტი მონაცემთა ანალიზისა და სტატისტიკური ანალიზის შესრულებისათვის გარდა EXCEL-საშუალებებისა ასევე გამოიყენებს სტატისტიკური პროგრამული პაკეტი – SPSS – ის საშუალებებს.	სავალდებულო	5	VI

მართვის უნარები და ლიდერობა	ამ კურსის ძირითადი მიზანია განავითაროს სტუდენტების მართვის უნარები, რათა მათ შეძლონ თავიანთი საუკეთესო იდეები დანერგვა და განხორციელება თავიანთ სამუშაო ორგანიზაციებში. ამ მიზანს ემსახურება მართვის სხვადასხვა ძირითადი პრინციპის სწავლება. ეს პრინციპები მოიცავს შემდეგს: ინდივიდის მიერ საკუთარი თავის შეცნობა, სტრესთან გამკლავება, პრობლემების მართვა, მოტივაცია და კონფლიქტების მართვა ინტერპერსონალურ ურთიერთობებში, ძალაუფლება და გუნდის გაძღოლის მექანიზმები.	სავალდებულო	5	VI
კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა	კურსი მოიცავს კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული კონცეფციების, ტერმინების, სამეცნიერო თეორიების, რეგულაციების ძირითადი საერთაშორისო ინსტრუმენტებისა და ამ სფეროში არსებული საერთაშორისო გამოცდილების ზოგად მიმოხილვას, ასევე კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ცალკეული თემებისა და კომპონენტების უფრო დაწყვრილებით განხილვას, მაგალითად: დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა, სათემო პროგრამები და ფილანტროფია, სოციალური და ეკო ეტიკეტირება, პასუხისმგებელი მოხმარება და სოციალურად პასუხისმგებელი ინვესტირება. კურსი გამიზნულია კომპანიის საქმიანობაში აღნიშნული CSR მიდგომების დანერგვისა და განხორციელების მექანიზმები, ერთიანი CSR სტრატეგიის შედგენისა და განხორციელების ეტაპები. კურსი ითვალისწინებს, აგრეთვე, საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივი გარემოს და ქართულ კომპანიათა გამოცდილებას ამ სფეროში.	სავალდებულო	3	VI
ფინანსური აქტივების შეფასების საფუძვლები	ფინანსური აქტივების შეფასება გულისხმობს კომპანიების და სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების ღირებულების შეფასებას. ფინანსური აქტივების შეფასება უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ფინანსების თითქმის ყველა სფეროში საინვესტიციო პორტფელის შეძენა და მართვა, კომპანიების შეფასება და შესყიდვა, კორპორაციული ფინანსების მართვა და სხვა. კურსის განმავლობაში განხილული იქნება ამ სფეროში გამოსაყენებელი შეფასების თეორიები, მოდელები და ტექნიკა. კურსი ითვალისწინებს პრაქტიკული სემინარების და საქმიანი თამაშის ჩატარებას.	სავალდებულო	5	VI

საშუალო დონის საბუღალტრო აღრიცხვა	საგანი შეისწავლის ფინანსურ აღრიცხვისა და ანგარიშგების კონცეფციებს. იგი უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების, საბუღალტრო გატარებების, ბალანსის, მოგება-ზარალის, ფინანსური უწყისების ახსნა-განმარტებების, შემოსავლების, დებიტორული დავალიანების, ფულადი სახსრების, თვითღირებულების აღრიცხვის და ლიზინგის შესწავლას.	სავალდებულო	5	VI
საგადასახადო დაბეგვრის პრინციპები	სასწავლო კურსი - „საგადასახადო დაბეგვრის პრინციპები“ წარმოადგენს ფინანსური აღრიცხვა-ანალიზის თანმდევ საბაზისო ცოდნას, რომელიც აუცილებლობას წარმოადგენს საქართველოში განხორციელებულ ნებისმიერ ფინანსურ საქმიანობასთან. „საგადასახადო დაბეგვრის პრინციპებ“-ის ძირითად სასწავლო ლიტერატურას წარმოადგენს „საქართველოს საგადასახახადო კოდექსი“, რომელიც არეგულირებს პირის ვალდებულებას საქართველოს საგადასახადო სისტემასთან და რომლის ცოდნაც სავალდებულოა როგორც ფინანსისტისთვის, ისე ბუღალტრისთვის. „საგადასახადო დაბეგვრის პრინციპებ“-ის სასწავლო კურსი ხელს შეუწყობს ორგანიზაციებსა და ფიზიკურ პირებს საგადასახადო სამართალდარღვევების თავიდან არიდებაში, რაც თავის მხრივ გულისხმობს ფინანსური რისკების შემცირებას.	სავალდებულო	5	VI
მომხმარებელის ქცევა	კურსის ფარგლებში დაიფარება შემდეგი საკითხები: რა განაპირობებს მომხმარებლის ამა თუ იმ ქცევას; როგორ იღებს ის გადაწყვეტილებას; რატომ აბნევს მას არჩევანი და რატომ არ არის მომხმარებელი ხშირად გულწრფელი. მომხმარებლის ქცევა ბიჰეივიორისტული ეკონომიკის ნაწილია და შეისწავლის თუ როგორ ცვლისფსიქოლოგიური, სოციალური, კოგნიტიური და ემოციური ფაქტორები, ინდივიდებისა და ორგანიზაციების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს. თუმცა, მომხმარებლის ქცევის შესწავლას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი თუკი ამ ცოდნას მომხმარებელთან ურთიერთობის გაღრმავების და მისი ერთგულების მოპოვების მიზნით გამოვიყენებთ. კურსის განმავლობაში, ქცევისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის გარდა, განიხილება მომხმარებელთან სტრატეგიული ურთიერთობის თანამედროვე მიდგომებიც.	სავალდებულო	5	VI

მარკეტინგული კვლევა	კურსი ორიენტირებულია შეასწავლოს სტუდენტს ის სპეციფიკური საკითხები, რომელიც აუცილებელია მარკეტინგული კვლევის დაგეგმვის და წარმოებისთვის. კურსი განიხილავს საკითხებს, როგორც მენეჯერის, ასევე მკვლევარის კუთხიდან და ძირითადში ფოკუსირებას ახდენს იმის განსაზღვრაზე, თუ როგორ უნდა ჩატარდეს კვლევა. კურსი მოიცავს შემდეგ ძირითად საკითხებს კვლევის პრობლემის განსაზღვრა, ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, შედეგების ანგარიშის მომზადება და პრეზენტაცია.	სავალდებულო	5	VI
გაყიდვების მენეჯმენტი	გაყიდვების მართვის კურსი შეასწავლის გაყიდვების პროცესსა და ურთიერთობების ჩამოყალიბებას და განმტკიცების საკითხებს. ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს პერსონალური გაყიდვები, რაც გულისხმობს გაყიდვის პროცესში ფორმალური და სტრუქტურირებული გეგმის მიხედვით მოქმედებას ადამიანური და ბიზნეს ეთიკის ნორმების დაცვით	სავალდებულო	5	VI
ოპერაციების მართვა	ოპერაციების მართვის კურსი შეეხება ისეთ მართვის ისეთ გლობალურ ასპექტებს, როგორებიცაა დაგეგმვა და გადაწყვეტილების მიღება. ამ კურსის ძირითადი მიზნებია: წარმოდგენა შეუქმნას სტუდენტებს ოპერაციათა მენეჯმენტის ზოგად მიმართულებებზე, უზრუნველყოფს მათთვის დეტალური თეორიული ცოდნის მიწოდება, ასევე გააცნოს ოპერაციათა მენეჯმენტის სხვადასხვა ტექნიკები, რათა შემდგომში მათ შეძლონ ეფექტური დაგეგმვა და გეგმის იმპლემენტაცია. ამ კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს, თეორიული ცოდნინად გამომდინარე, უნდა შეეძლოს ორგაზნიაციის ეფექტურობის გაზრდა და თეორიული ცოდნის გამოყენება პრაქტიკული პრობლემების მოსახგვარებლად.	სავალდებულო	5	VI
ანტრეპრენიორობა	ეს კურსი მოიცავს მენეჯმენტის ძირითად და თანამედროვე პრაქტიკებს. თანამდეროვე ბიზნეს სკოლები ფოკუსირებულნი არიან ისეთი პროფესიების სწავლებაზე, რომელიც სტუდენტებს დაეხმარება მომავალში გახდნენ ღირებული თანამშრომლები, თუმცა ცოტა რამ ისწავლება იმის შესახებ, თუ როგორ ხადნენ თვითონ დამსაქმებლები (ბიზნესის შემქმნელები). ანტრეპრენიორობის ეს კურსი ისე, რომ სტუდენტებს განუვითაროს ის უნარები, კონცეფციები, მენტალური მიდგომა და ცოდნა, რაც მათ დაეხმარება შექმნან და მართონ ახალი ბიზნესები.	სავალდებულო	5	VI

ადამიანის რესურსების მართვის საფუძვლები	ადამიანური რესურსების მართვის საფუძვლების ძირითადი მიზანია ორგანიზაციაში ადამიანური რესურსების მართვის ძირითადი მიზნების და როლის გააზრება. საგნის გავლის შემდეგ სტუდენტებს შეექმნებათ ნათელი წარმოდგენა ადამიანური რესურსების მართვის, მისი ფუნქციის, როლის და მნიშვნელობის შესახებ, როგორც ორგანიზაციაში, ისე ზოგადად ბიზნესში. მათ შეეძლებათ ამ თეორიის პრაქტიკაში გამოყენება და ეცოდინებათ თუ როგორ იმართება ადამიანური რესურსები.	სავალდ ებულო	5	VI
საერთაშორისო ფინანსები	საერთაშორისო ფულადი სისტემის ისტორია, საერთაშორისო ბიზნეს ტრანზაქციები: ფულის გადახდის ბალანსი, ფინანსური სისტემები და უცხოური სავალუტო ბაზარი, უცხოური სავალუტო ბაზრის მონაწილენი, წარმომადგენლები, უცხოური ვალუტის წარმოებულები, უცხოური ვალუტის ობციონებით ვაჭრობა, რისკის მართვის სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტები, სავალუტო კურსის რისკის მართვა, საერთაშორისო დაფინანსებისა და ინვესტიციების საკითხები. სხვადასხვა საერთაშორისო ბაზრები და ფასიანი ქაღალდები, საერთაშორისო ფინანსური გარემო, უცხოური სავალუტო ბაზარი, უცხოური ვალუტის კურსის განსაზღვრა და პროგნოზირება, ევროპული ფულადი სისტემა, საპროცენტო განაკვეთი, რისკები, საგადასახადო სისტემა, საერთაშორისო ვაჭრობის, იმპორტისა და ექსპორტის დაფინანსება. ქვეყნის ანგარიშისა და ვაჭრობის ბალანსის აღწერა.	სავალდე ბულო	5	VII-VIII
საბანკო საქმე	კურსი ორიენტირებულია, სტუდენტებს შეასწავლოს საბანკო საქმიანობის ისტორია და მისი განვითარების ეტაპები, საბანკო სისტემის მუშაობის მექანიზმი, საბანკო რეგულირების პრინციპები და ინსტრუმენტები, ბანკის სტრუქტურა და მართვის პრინციპები, საბანკო პროდუქტები და მომსახურება, საბანკო რისკები და მათი მართვა. კურსი მოიცავს როგორც კლასიკური საბანკო სისტემის ანალიზს უცხოური საბანკო სისტემის მაგალითზე, ასევე ადგილობრივი, საქართველოს საბანკო სისტემის, საბანკო პროდუქტების, რეგულირების გაცნობას.	სავალდებ ულო	5	VII-VIII
გლობალური პორტფელის მენეჯმენტი	გლობალური პორტფელის მართვის საგანი მოიცავს ფინანსურ ინვესტიციებთან დაკავშირებულ დისციპლინათა ფართო სპექტრს -- მ/შ ფასიანი ქაღალდების ფასწარმოქმნის პრინციპები, რისკის შეფასება და სტატისტიკურად მოსალოდნელი ამონაგების გამოთვლის მოდელები, საინვესტიციო პორტფელის შექმნის თეორია და პრაქტიკა.	სავალდე ბულო	5	VII-VIII

ფინანსური ანალიზი და სესხის სტრუქტურირება	კურსი გაკუთვნილია სტუდენტებისთვის, რომლებიც დაინტერესებული არიან გახდნენ პროფესიონალი მენეჯერები როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში. კურსის მიზანია სტუდენებმა გაიგონ, თუ როგორ უნდა მოხდეს ფინანსური ინფორმაციის მიღება და მისი გამოყენება სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად. ასევე მნიშვნელოვანია, მოხდეს იმის, გაანალიზება, თუ როგორ ხდება ფინანსური უწყისების გამოყენება სესხის სწორად სტრუქტურირებისათვის, როგორ კომპანიის, ასევე კრედიტორის კუთხით.	სავალდებულო	5	VII-VIII
ფინანსური მენეჯმენტი	კურსი ფინანსური მენეჯმენტი ფინანსური ანალიზისა და მართვის პრაქტიკული უნარების გაღრმავებაზეა ორიენტირებული. სწავლება მოიცავს ფინანსური ანალიზის სხვადასხვა ტექნიკების გაცნობას	სავალდებულო	5	VII-VIII
შესავალი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში	აღნიშნული კურსი შეისწავლის კომპანიების ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით, რომელიც საქართველოში წარმოადგენს სავალდებულო მოთხოვნას 1999 წლიდან. კურსის მსვლელობისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საქართველოს რეალობაში და პრაქტიკაში გამოყენებულ სტანდარტებს.	სავალდებულო	5	VII-VIII
ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები	კურსის მიზანია დაეხმაროს სტუდენტებს, რათა მათ მიიღონ ფუნდამენტური ცოდნა ფინანსური ბაზრებისა და ინსტიტუტების შესახებ და აჩვენოს მათ თუ როგორ შეიძლება ამ ცოდნის რეალურ ცხოვრებაში გამოყენება. კურსის მსვლელობის დროს სტუდენტები გაიაზრებენ ისეთ საკითხებს როგორიცაა: ფიუჩერსების, ფორვარდებისა და ოფციონების ბაზრების, კომერციული ბანკების, საერთაშორისო საბანკო და სადაზღვევო კომპანიების, საპენსიო ფონდების, საინვესტიციო ბანკებისა და საბროკერო კომპანიების როლსა და მათი რეგულირების მნიშვნელობას	სავალდებულო	5	VII-VIII

ინდუსტრიული მარკეტინგი	ინდუსტრიული მარკეტინგი, იგივე B2B მარკეტინგი, გულისხმობს მიმწოდებლების მიერ პოტენციური კორპორაციული მომხმარებლებისათვის - კერძო ბიზნესი, სახელმწიფო სტრუქტურები და არაკომერციული ორგანიზაციები - პროდუქტებისა და მომსახურების მიწოდებას. არსებობს პრინციპული განსხვავება კორპორაციულ და სამომხმარებლო ბაზარზე საქმიანობაში. კორპორაციული ბიზნესისათვის აუცილებელია არა მხოლოდ პროდუქციის და/ან მომსახურების მიწოდება, არამედ შესაბამისი ფასეულობის გააზრება, შექმნა და მიწოდება. ჩვენს შემთხვევაში ფასეულობა განისაზღვრება როგორც ეკონომიკური, ტექნოლოგიური, სოციალური და მომსახურებით მიღებული სარგებლების ფულად ერთეულებში ასახვა.	სავალდებულო	5	VII-VIII
ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაცია	ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს მიაწოდოს ამომწურავი ცოდნა სხვადასხვა საკომუნიკაციო მეთოდების და საშუალებების შესახებ, ისეთების, როგორიცაა საზოგადოებასთან ურთიერთობები (პიარი), რეკლამა, გაყიდვების პრომოუშენი, სიტყვიერი მარკეტინგი და სხვა ტრადიციული თუ ახალი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესახებ და თუ როგორ შეიძლება საკომუნიკაციო საშუალებების გაერთიანება ერთ სტრატეგიულ საკომუნიკაციო გეგმაში, რომ მან ბიზნესის წარმატებულად მართვას შეუწყოს ხელი.	სავალდებულო	5	VII-VIII
ბრენდის მართვა	მოცემული კურსი მოიცავს იმ სტრატეგიების შესწავლას რომლების აუცილებელია ბრენდის შექმნის, განვითარებისა და შენარჩუნებისათვის. სტუდენტებს კურსის ფარგლებში საშუალება ეძლევათ შეისწავლონ ის ძირითადი კონცეფციები, პრინციპები და ხელსაწყოები რომლებიც საჭიროა ბრენდის მართვისათვის. სტუდენტები ასევე შეისწავლიან როგორ განავითარონ მარკეტინგული კომპლექსი ბრენდისათვის, ბრენდის ტესტირებას შემუშავებულ მარკეტინგულ კომპლექსთან ერთად, მის წარდგენას ბაზარზე ასევე მარკეტინგული კომპლექსის ელემენტებთან ერთად და ბრენდის შემდგომ მონიტორინგს ბაზარზე	სავალდებულო	5	VII-VIII

სერვის-ორგანიზაციების მარკეტინგი	კურსი ორიენტირებულია შეასწავლოს სტუდენტს ის სპეციფიკური სტრატეგიული მარკეტინგული საკითხები, რომლებიც სპეციფიურია სერვის ორგანიზაციებისათვის. ამ კურსის ძირითად ფაბულას ქმნის „გეპების მოდელი“, რომელიც არის საკონსულტაციო მოდელი სერვისორგანიზაციებისათვის. ამ მოდელის მიხედვით შესაძლებელია მოხდეს სერვის ორგანიზაციებში არსებული მომსახურების აუდიტი, ანალიზი და ხარისხის კონტროლი. პრობლემები რომლებიც ხშირად თავს იჩენს სერვის ორგანიზაციებში არის მოთხოვნისა და მიწოდების სინქრონიზება, მარაგების შექმნი შეუძლებლობა, სტაბილურად მომსახურების ხარისხის შენარჩუნება და ა.შ. ასეთი ტიპის პრობლემების აღმოფხვრისათვის საჭირო სტრატეგიების განხილვა და შესწავლა მოხდება ამ კურსის მსვლელობისას.	სავალდებულო	5	VII-VIII
სტრატეგიული მარკეტინგი	სტრატეგიული მარკეტინგის კურსის მიზანია მარკეტინგულიკონცეფციების ინტეგრირება. ეს კურსი მოიცავს მარკეტინგულისტრატეგიის განვითარების სრულყოფილი საშუალებების შესწავლას სტუდენტებს საშუალება ექნებათ გამოიყენონ მარკეტინგულიპრინციპების ცოდნა ძირითადი მარკეტინგული პრობლემებისიდენტიფიკაციის, ანალიზისა და დასკვნების გამოტანის მიზნით. ესკურსი დაფუძნებულია რეალური კომპანიების რეალურ ბიზნესსიტუაციებზე, რომელთა შესწავლისას სტუდენტები განიხილავენკომპანიაში არსებულ მარკეტინგულ სიტუაციას და იმუშავებენრეკომენდაციებს, რომლებიც მიმართულია მოცემული სიტუაციისგაუმჯობესებისაკენ	სავალდებულო	5	VII-VIII

საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიები და ტაქტიკა	კურსი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის თეორიისა და პრაქტიკის საფუძვლებს და იხილავს მათ ადგილზე ორგანიზაციაში, ზეგავლენას ორგანიზაციების წარმატებაზე და განვითარებაზე. თანამედროვე ორგანიზაციების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სტრუქტურა და ფუნქციები გაანალიზებულია სხვადასხვა დისციპლინის თვალსაზრისით. განიხილება საზოგადოებასთან ურთიერთობის თეორიის შემსწავლელი სხვადასხვა სკოლის იდეოლოგიები და მათი ეფექტი ორგანიზაციებში წარმატებულობისა და სწორი გადაწყვეილების მიღების უნარზე. კურსში ყურადღება გამახვილებულია საზოგადოებასთან ურთიერთობისადმი თანამედროვე მიდგომების კონცეფციების გამოყენებაზე ყველა ტიპის ორგანიზაციაში და სხვადასხვა სფეროში, ორგანიზაციების ეფექტურობის განვითარების მიზნით.	სავალდებულო	5	VII-VIII
პროექტების მართვა	ეს კურსი შეისწავლის პროექტის მენეჯმენტის ფუნქციებსა და გარემოებებს, პროექტის სასიცოცხლო ციკლსა და სამუშაოს დაგეგმვის სხვადასხვა ხერხებს, პროექტის მიზნის მისაღწევად კონტროლსა და შეფასებებს. კურსი განსაზღვრავს პროექტის დამახასიათებელ თვისებებს, აყალიბებს პროექტის მენეჯმენტის საჭიროებას, ადარებს და აპირისპირებს პროექტის მენეჯერის ფუნქციას ორგანიზაციულ გარემოებებში. კურსი აგრეთვე მოიცავს პროექტის ორგანიზაციულ სტრუქტურას, თუ როგორ არიან ჯგუფები ორგანიზებული პროექტებში და როგორ არის გადანაწილებული პროექტში გუნდის წევრების ფუნქცია და პასუხისმგებლობა.	სავალდებულო	5	VII-VIII
ციფრული მარკეტინგი და ელ-კომერციის საფუძვლები	ინტერნეტი და მასთან ერთად განვითარებული ტექნოლოგიები უზარმაზარ გავლენას ახდენს დღევანდელ ბიზნეს სამყაროზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ციფრულმა მარკეტინგმა და ელ-კომერციამ ჩვენს ყოველდღიურობაში. კურსი სტუდენტს მისცემს შესაძლებლობას შეაფასოს ციფრული მარკეტინგისა და ელ-კომუნიკაციის შესაძლებლობები და განვითარების პერსპექტივები. კონკრეტულად იგი შეძლებს შეაფასოს ელ-კომერციის ბიზნეს მოდელები და ციფრული მარკეტინგის მეთოდები, როგორც მომხმარებლის ისე კომპანიის პერსპექტივიდან. შეეძლება განსაზღვროს თუ როგორ გამოიყენოს ონლაინ მარკეტინგის ტექნიკები რათა ყველაზე ეფექტურად მიწვდეს სამიზნე აუდიტორიას. სწავლის შედეგად სტუდენტი შეძლებს ჩამოაყალიბოს ციფრული მარკეტინგული სტრატეგია და ექნება მის შესასრულებლად აუცილებელი ტექნიკის ცოდნა.	სავალდებულო	5	VII-VIII

სადისტრიბუციო არხების მართვა	განაწილების არხის მართვა არის ერთ-ერთი სფერო. რომელშიც მიღებული გადაწყვეტილებები არიან ისეთი ტიპის, რომლებსაც მარკეტინგის მენეჯერი იღებს თავისი სტრატეგიული თუ ტაქტიკური მიზნების მისაღწევად. კურსი ორიენტირებულია სტუდენტებს შეასწავლოს თუ როგორ უნდა შეიქმნას, განვითარდეს და შენარჩუნდეს ეფექტური ურთიერთობები მარკეტინგული არხის წევრებს შორის, ისე რომ მიღწეულ იქნას მდგრადი კონკურენტული უპირატესობა. ყურადღება გამახვილებული იქნება ისეთი უნარჩვევების განვითარებაზე, როგორებიცაა დაგეგმვა, ორგანიზება, განხორციელება და კონტროლი დისტრიბუციის არხის ფუნქციონირების.	სავალდებულო	5	VII-VIII
საცალო ვაჭრობა	კურსი ემსახურება საცალო ვაჭრობის მენეჯმენტის საფუძვლების, გარემოს ანალიზისა და განვითარების პერსპექტივების შესწავლას. კურსი დაყოფილია ოთხ ძირითად ნაწილად: გარემო, სტრატეგია, მერჩენდაიზინგი და მაღაზიების მენეჯმენტი.	სავალდებულო	5	VII-VIII
საერთაშორისო მარკეტინგი	ამ კურსი მიზანია სტუდენტები გააცნონ მარკეტინგის წარმოების თავისებურებების საერთაშორისო ბაზრებზე. კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ: შეაფასონ გლობალური ეკონომიკური და სავაჭრო გარემო; სხვადასხვა ქვეყნების სოციალური, კულტურული, პოლიტიკურ, იურიდიული მახასიათებლები; დაინახონ რა თავისებურებებით გამოირჩევა მარკეტინგული მიქსის წარმოება გლობალიზაციის პირობებში, შეაფასონ საერთაშორისო ბაზრების შეღწევის სტრატეგიები და ელექტრონული მარკეტინგის წარმოების საკითხები.	სავალდებულო	5	VII-VIII

მოლაპარაკების წარმოების მეთოდები	სასწავლო კურსი მიზნად ისახავს დაეხმაროს სტუდენტს მოლაპარაკების წარმოებისათვის აუცილებელი სტრატეგიული და ტაქტიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში. საგანი ძირითადად ორიენტირებულია მოლაპარაკების დაგეგმის, გაძღოლის, ინტერესთა მართვის, ღირებულების შექმნისა და დანაწილების მეთოდებზე. სასწავლო კურსი მოიცავს მოლაპარაკების წარმოების ზოგად მეთოდებს და გამიზნულია სტუდენტთა ფართო წრისათვის. ეს კურსი ძირეულად განსხვავდება სოციალურ მეცნიერებებში არსებული პრაქტიკისაგან და სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა თეორიული ცოდნის მიღების პარალელურად განივითაროს პრაქტიკული უნარ-ჩვევები ექსპერიმენტალური სიმულაციების გამოყენებით.	სავალდებულო	5	VII-VIII
ინოვაციების მართვა	აღარავინ დაობს რომ მომავალი ტექნოლოგიებს ეკუთვნის. დრონები, მასიური ინდუსტრიული რობოტები თუ პაწაწინა სამედიცინო აპარატების იმპლანტები, მანქანები ერთმანეთს კარგა ხანია ადამიანის დახმარების გარეშე უცვლიან ინფორმაციას და კომპლექსურ დავალებებს ასრულებენ. მხოლოდ წარმოების ინდუსტრიაში, 2018 წლისთვის, Internet of Things ბაზრის ზრდა მთელს მსოფლიოში 20% ით არის მოსალოდნელი. ეს ცვლილებები: ახალი სტანდარტები, ინფრასტრუქტურა თუ არქიტექტურა, მოითხოვს რომ ჩვენც, მენეჯერებმა და ორგანიზაციებმა, ასეთივე ტემპებით განვაგრძოთ ცვლილება. დღეს უკვე ბევრი ორგანიზაციის მთავარი ამოცანა არა ბაზრებზე ზრდა და პოზიციების შენარჩუნებაა, არამედ ტექნოლოგიურ პროგრესთან დაწევა, იმიტომ რომ, უმეტეს შემთხვევაში, ეს პროგრესი არსებულ ბიზნეს მოდელს უქმნის საფრთხეს. ორგანიზაციაში ინოვაციების თუ ინოვაციური მენტალიტეტის დანერგვა ცვლილებებთან არის დაკავშირებული. ცვლილებების და ინოვაციების მართვა კი სტანდარტული მენეჯერული გამოცდილებისა და უნარებისგან განსხვავებულ უნარებს და ცოდნას საჭროებს. ინოვაცია მუდმივი რისკის, მარცხის და აღმოჩენების შედეგად მიღებული მეტამორფოზაა და ამ კურსის მიზანია, ორგანიზაციაში და ადამიანებში ინოვაციების დანერგვის გაბედულების, წინააღმდეგობების გადალახვის, ექსპერიმენტების ჩატარების და ცოდნის შეძენის უნარი გააღვივოს.	სავალდებულო	5	VII-VIII

ხარისხის ინფრასტრუქტურა	ინდუსტრიული ქვეყნები ვაჭრობასთან დაკავშირებით ეყრდნობიან მრავალ სტანდარტს და ტექნიკურ რეგლამენტს. თუ განვითარებად ქვეყნებს სურთ გლობალურ ბაზარზე შეღწევა მათ უნდა შეძლონ გაითვალისწინონ სტანდარტებთან დაკავშირებული პირობები. მათ შორის სტანდარებისა და ტექნიკური რეგლამენტის, მეტროლოგიის, გამოცდების, ხარისხის შეფასების, სერთიფიცირებისა და აკრედიტაციის ხელმისაწვდომობა - ეს ელემენტები კი ერთიანად წამოადგენს ხარისხის ეროვნულ ინფრასტრუქტურას (QI); კურსი მოიცავს გლობალური ცვლილებების ანალიზს ხარისხის ინფრასტრუქტურის კუთხით, ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის დახმარებას მწარმოებლების, მარეგულირებლებისა და მომხმარებლებისათვის ამ გამოწვევების შესასრულებლად; განხილულია QIის კომპონენტების ურთიერთდამოკიდებულება, მათი ინტეგრაცია საერთაშორისო ხარისხის სისტემაშჯ, ინფრასტრუქტურის ზემოქმედება ღირებულებათა ჯაჭვზე; დეტალურად არის განხილული, როგორ შეუძლია მწარმოებელს იმუშაოს საერთაშორისოდ აღიარებული ხარისხის პარამეტრებით და შეძლოს ამ შესაბამისობის დემონსტრირება საერთაშორისო დონეზე; მოკლედ არის აღწერილი საკანონმდებლო გარემო, ნებაყოფლობითი და სავალდებულო ასპექტები, მარეგულირებელი ორგანოების ფუნქციები და მათ მიერ QI-ის გამოყენება.	სავალდებულო	5	VII-VIII
ხარისხის სრული მართვა	კურსი მოიცავს ხარისხის მართვის სხვადასხვა ელემენტს, მათ შორის ექვს სიგმას (Six Sigma). ეს კურსი ასევე მოიცავს ხარისხის მართვის სხვადასხვა საკითხს მათ შორის: განხორციელების ინსტრუმენტებსა და მეთოდებს, ზუსტად დანიშნულ ვადაში პასუხისმგებლობით წარმოებას, (Just-In-Time manufacturing) გამოცდილების გადაღებას (ბენჩმარკინგი, Benchmarking), მუდმივ გაუმჯობესებას, თანამშრომლების ჩართულობას, ხარისხის უზრუნველყოფის კულტურას, ხარისხის სრული მართვის განხორციელებას. ეს საკითხები საკმაოდ სიღმისეულად არის განხილული, რაც საშუალებას აძლევს დამწყებს შეისწავლოს ყველაფერი, რაც აუცილებელია ხარისხის სრული მართვის გააზრებისა და განხორციელებისთვის, ისე რომ აღარ გახდეს საჭირო ინფორმაციის სხვა წყაროს მოძიება.	სავალდებულო	5	VII-VIII

ლოჯისტიკა	ლოჯისტიკის მიმოხილვა, სტრატეგიული და ფინანსური ლოჯისტიკა, მოთხოვნის მართვა და მომხმარებელთა მომსახურება, სატრანსპორტო სისტემები, საერთაშორისო საზღვაოსნო ლოჯისტიკა, საერთაშორისო ლოჯისტიკა	სავალდებულო	5	VII-VIII
შიდა აუდიტი	შიდა აუდიტის შემსწავლელი საბაზისო კურსი. კურსი მოიცავს შიდა აუდიტის დაგეგმვის და მართვის შესწავლას. კურსი დაფუძნებულია შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებზე და Big-4 -ის სახელმძღვანელოებზე	სავალდებულო	5	VII-VIII
კორპორატიული მართვა	კურსი მიმოიხილავს კორპორაციული მართვის ძირითად პრინციპებს, ელემენტებს, პრაქტიკულ მაგალითებს. კურსის განმავლობაში განხილულ იქნება კორპორაციის შემადგენელი სუბიექტების (აქციონერების, მაღალი , თუ საშუალო რგოლის მენეჯერების და ა.შ) უფლებები და პასუხისმგებლობები.	სავალდებულო	5	VII-VIII
საშუალო დონის საბუღალტრო აღრიცხვა 2	სასწავლო კურსი “საშუალო დონის საბუღალტრო აღრიცხვა 2” არის “საშუალო დონის საბუღალტრო აღრიცხვა 1-ის გაგრძელება. კურსი შეისწავლის ფინანსური აღრიცხვის და ანგარიშგების შედარებით რთულ საკითხებს, როგორებიცაა ინვესტიციების, ობლიგაციების, ფინანსური ლიზინგის, გადავადებული მოგების გადასახადების და წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვას. ასევე განხილულია ფინანსური ანალიზის და კომპანიის შეფასებების საკითხები.	სავალდებულო	5	VII-VIII
აუდიტის გაძლიერებული კურსი	აღნიშნული საგანი წარმოადგენს ACCT4113 – აუდიტის შესავალი კურსის გაგრძელებას. კურსი ითვალისწინებს სტუდენტებისათვის გაყიდვების და შემოსავლების ციკლის აუდიტის, აუდიტორული შერჩევის, დებიტორების აუდიტის, ხელფასების აუდიტის, შესყიდვების და გადახდების ციკლის აუდიტის, მარაგების აუდიტის, კაპიტალური დანახარჯების აუდიტის, ფულადი სახსრების აუდიტის, აუდიტის დასრულების პროცედურების და სხვა აუდიტორული მომსახურების შესწავლას.	სავალდებულო	5	VII-VIII

ბუღალტერიის საინფორმაციო სისტემები	სასწავლო კურსში განიხილება ინფორმაციის კომპიუტერული აღრიცხვა. ინფორმაციის შენახვისა და დამუშავების მეთოდები. განიხილება ასევე საინფორმაციო სისტემების გრადაციები და ის მოთხოვნები, რომელებსაც უნდა აკმაყოფილებდეს აღრიცხვის საინფორმაციო სისტემა. ბიზნეს პროცესების აღწერა და შესწავლა. ”ორის მენეჯერი”-ს შესწავლა. კურსის დანიშნულებაა ”ორის მენეჯერი”-ს შესაძლებლობების შესწავლა. მისი ინტერფეისის გაცნობა, სისტემის საშუალებით ბიუჯეტის, შესყიდვების, ხელშეკრულებების, ბუღალტერიის, სასაქონლო მარაგების, ძირითადი საშუალებების, ადამიანური რესურსებისა და ხელფასების, ასევე წარმოების მართვა და მათთან დაკავშირებული პირველადი საბუთების, სააღრიცხვო, საგადასახადო და მენეჯერული რეპორტების მომზადება. განიხილება როგორც კერძო ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირის ორგანიზაციის მაგალითზე.	სავალდებულო	5	VII-VIII
შესავალი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში	აღნიშნული კურსი შეისწავლის კომპანიების ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით, რომელიც საქართველოში წარმოადგენს სავალდებულო მოთხოვნას 1999 წლიდან. სასწავლო კურსში განიხილება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები უახლესი ცვლილებების გათვალისწინებით , მათ საფუძველზე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის ტექნიკა, როგორც ინფორმაციის შიდა, ისე გარე მომხმარებლებისათვის. კურსის მსვლელობისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საქართველოს რეალობაში და პრაქტიკაში გამოყენებულ სტანდარტებს.	სავალდებულო	5	VII-VIII
ფინანსური რისკების შეფასება	ფინანსური რისკების შეფასების საგანი სტუდენტს საშუალებას აძლევს განუვითარდეს რისკების დადგენის, შეფასებისა და შესაბამისი ქმედებების დაგეგმვის უნარჩვევები. რისკის შეფასების პროცესი ფართოდ არის გავრცელებული სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებში, რაც საშუალებას აძლევს მენეჯმენტს უკეთესად გამოავლინონ, შეაფასონ და დაადგინონ მათი ბიზნესისათვის დამახასიათებელი ფინანსური რისკები.	სავალდებულო	5	VII-VIII

სტრატეგიული მართვა	კურსის განმავლობაში სტუდენტები შეისწავლიან სტრატეგიული მენეჯმენტის ცნებებს, სტრატეგიული მართვის თეორიებს, სტრატეგიული გეგმის შემუშავების ინსტრუმენტებს, სტრატეგიის განხორციელების ეტაპებს, მონიტორინგის და შეფასების მეთოდებს და გააცნობიერებენ სტრატეგიული როლს ორგანიზაციაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სტუდენტები, ასევე გაეცნობიან ორგანიზაციის შიდა რესურსების და შესაძლებლობების, შედარებითი უპირატესობის განსაზღვრის ინსტრუმენტებს, გეგმის შეისწავლიან ორგანიზაციის გარემოს სუსტი და ძლიერი მხარეების შეფასების მეთოდებს, სტრატეგიული რისკების იდენტიფიცირების და მათი შეფასების ინტრუმენტებს.	სავალდებულო	5	VII
ბიზნესის გეგმის განვითარება	მოცემული კურსი წარმოადგენს ახალი ბიზნესის დაწყებისათვის ან არსებული ბიზნესის ახალი წამოწყებისათვის საჭირო ანალიტიკური სამუშაოს ჩატარებისა და საჭირო დოკუმენტის შექმნის პროცესს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ფინანსური სახსრების მოზიდვა. კურსი სტუდენტს მისცემს შესაძლებლობას შეაფასოს ნებისმიერი ბიზნესის ძირითადი შესაძლებლობები და განვითარების პერსპექტივები. კონკრეტულად იგი შეძლებს, ბიზნესისათვის დაწეროს მისია, ჩამოაყალიბოს მოკლე და გრძელვადიანი მიზნები, მოახდინოს ბიზნესის რეალურობისა და მიზნის მიღწევადობის ანალიზი (Feasibility Study) ინდუსტრიის, ბაზრისა და კონკურენტების შესწავლის და კვლევის საფუძველზე, ასევე პროდუქტის/სერვისის და პერსონალის შესწავლის საფუძველზე. ამასთან, კურსის მიზანია სტუდენტმა ეფექტურად გამოიყენოს ფინანსური დაგეგმარებისა და ინვესტიციის მიზანშეწონილობის შესაფასებელი ინსტრუმენტები. განავითაროს ბიზნეს გეგმა ნებისმიერი საქმიანობისათვის – წარმოება, სერვისი, მცირე თუ მსხვილი საწარმო, მომგებიანი თუ არამომგებიანი ორგანიზაცია და ა.შ. შედეგად, სტუდენტმა უნდა შეძლოს ბიზნეს გეგმის პრეზენტაცია ეფექტურად ინვესტორის, მფლობელის, თუ სხვა დაინტერესებული მხარისათვის გასაგებ ენაზე.	სავალდებულო	5	VIII